პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 184 (11188) | სამშაბათი, 12 აგვისტო, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

ბრძანებაუღება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვოლგის ჰიდროელექტროსადგურისათვის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელის მიკუთვნების შესახებ

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურს მიეკუთვნოს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელი და ამიერიდან ეწოდებოდეს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის ვოლგის ჰიდროელექტროსადგური.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1958 წლის 10 აგვისტო.

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა

ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა მიჯინგი

ჟიგულევსკი (კუიბიშევის ოლქი), 10 აგვისტო. **(საკადესის სპეც. კორ.).** დღეს დღის მეორე ნახევარში ჰესის შენობის ახლოს ვრცელ მოედანზე გაიმართა ჰიდროშენებელთა მრავალათასოვანი მიტინგი იმასთან დაკავშირებით, რომ დამთავრდა მუშაობა მსოფლიოში ამ უდიდესი ელექტროსადგურის მშენებლობაზე და კუიბიშევჰიდროშენი ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

მიტინგის მონაწილენი მქუხარე ოვაციით შეხვდნენ ტრიბუნაზე შემოსულ ამხანაგებს ა. ბ. არისტოვს, ლ. ი. ბრეჟნევს, მ. ა. სუსლოვს, ნ. ს. ხრუშჩოვს, დ. ს. პოლიანსკის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს ი. ი. კუზმინსა და ა. თ. ზასიადკოს, ელექტროსადგურების მინისტრს ა. ს. პავლენკოს, სსრ კავშირის სახმშენის თავმჯდომარეს ვ. ა. კუჩერენკოს, კუიბიშევის ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, მშენებლობისა და ელექტროსადგურის ხელმძღვანელებს, „კუიბიშევჰიდროშენის“ მოწინავეებს.

გახსნა რა მიტინგი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კუიბიშევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ტ. ეფრემოვი საოლქო პარტიული ორგანიზაციის, ჰიდროშენებელთა კოლექტივისა და ოლქის ყველა მშრომელის სახელით გულითადად მიესალმა ძვირფას სტუმრებს და პირობა მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ კუიბიშევჰიდროშენის კოლექტივი და კუიბიშევის ოლქის ყველა მშრომელი მაღალ ჯილდოს უპასუხებენ ახალი შრომითი გმარჯვებით, ყველა სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებით.

სიტყვას ამბობს „კუიბიშევჰიდროშენის“ უფროსი სოციალისტური შრომის გმირი ი. ვ. კომზინი. მშენებელთა სახელით იგი მოახსენებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგური ვოლგაზე და მისი ნაგებობანი აშენებულია და მზად არის გადაეცეს სახელმწიფო კომისიას. „კუიბიშევჰიდროშენის“ უფროსი თავის სიტყვაში ასახელებს ციფრებს, რომლებიც ახასიათებენ შესრულებულ სამუშაოთა უდიდეს მოცულობას, ლაპარაკობს მშენებელთა შრომითს ენთუზიაზმსა და სიძნელეებზე, რომელთა გადალახვა მათ მოუხდათ.

მხოლოდ მძლავრმა სამამულო ტექნიკამ და ამასთან ჩინებულმა ცოდნამ, საბჭოთა ადამიანების მგზნებარე პატრიოტიზმმა, სიყვარულმა და ერთგულებამ კომუნისტური პარტიისადმი, რომელსაც გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მივყავართ, ამბობს ამხ. კომზინი, შესაძლებლობა მისცეს ჰიდროშენებლებს წარმატებით დაემთავრებინათ მინდობილი საქმე. მშენებლობაზე თავდადებულად შრომობდნენ, გმირულ პატრიოტიზმს იჩენდნენ არა ერთეულები, არამედ მშენებელთა მთელი მრავალრიცხოვანი კოლექტივი.

ახლა ვოლგის მარჯვენა და მარცხენა ნაპირების სამშენებლო მოედნებზე განდა ახალი დიდი საწარმოები. ჰიდროშენებლები მოხარული არიან უპატაკონ სამშობლოს, აცხადებს ამხ. კომზინი, რომ მწყობრში ჩადგა ცემენტის ქარხნის პირველი რიგი და რომ უკვე იძლევიან პროდუქციას ვოლგაზე უდიდესი საშენ მასალათა ქარხნის, ვერცხლისწყლის გამმართველთა ქარხნისა და სხვა საწარმოთა ცალკეული საამქროები. ქალაქ სტავროპოლის რაიონში იქმნება ქიმიურ საწარმოთა უდიდესი კვანძი. აქ შენდება სინთეზური კაუჩუკის ქარხანა, რომელიც უდიდესი იქნება ევროპაში. ეს არის კომკავშირული დამკვრელური მშენებლობა.

კუიბიშეველი ჰიდროშენებლები, ამბობს დასასრულ ამხ. კომზინი, გამსჭვალული არიან მისწრაფებით შეასრულონ პარტიისა და ხალხის ყოველი დავალება და მუდამ საბჭოთა კავშირის მშენებელთა მრავალმილიონიანი რაზმის პირველ რიგებში იქნებიან.

სიტყვა ეძლევა ორგზის სოციალისტური შრომის გმირს კუიბიშევის ჰესის ელექტროშემდუღებელს ა. ა. ულესოვს. დღეს ჩვენ სასიხარულო დღესასწაული გვაქვს, ამბობს იგი. საყვარელ სამშობლოს ვაძლევთ კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის გასაღებს. ამ საზეიმო მომენტში უნებლიეთ მაგონდება პირველი დღეები, როცა მოვედით აქ, ჟიგულში. რა იყო აქ? — ცარიელი ადგილი. ჰესის შენობის ახლოს იყო პატარა ნავმისადგომი, ხოლო მის გვერდით — ქარის წისქვილი. დიდი რუსული მდინარე ვოლგა, როგორც ძველ დროში, მიიქანებდა თავის წყალს. ჩვენ კი პარტიამ გვითხრა: აქ უნდა აშენდეს მსოფლიოში ყველაზე მძლავრი ჰიდროელექტროსადგური. და ჩვენც ავაშენეთ. აი რის გაკეთება შეუძლიათ მშენებლებს, რომელთაც მიუძღვის მშობლიური კომუნისტური პარტია ნათელი მიზნისაკენ — კომუნიზმის აშენებისაკენ. ვოლგაზე რომ დავამთავრებთ მუშაობას, გადავალთ სხვა მდინარეების დამორჩილებაზე, წავალთ დამკვრელურ მშენებლობებზე. ახალ ჰიდროელექტროსადგურებსა და სამრეწველო საწარმოებს უფრო ჩქარა და უფრო იაფად ავაშენებთ.

11 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი მოვიდა მშენებლობაზე კომკავშირული საგზურებით, თქვა თავის სიტყვაში მოსაპირკეთებელი სამუშაოების უბნის სამუშაოთა მწარმოებელმა კ. ხ. შულგამ. ბუნებასთან ბრძოლაში გაიზარდა და განმტკიცდა ახალგაზრდა მშენებელთა მრავალათასოვანი რაზმი. ბევრი კომკავშირელი დამსახურებულად სარგებლობს სახელით არა მარტო მშენებლობაზე, არამედ შორს, ჟიგულის ფარგლებს გარეთაც. ამხ. შულგა ამბობს, რომ კუიბიშევის ოლქის კომკავშირელებმა იკისრეს ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის შეფობა. უკვე ახლა სტავროპოლის სინთეზური კაუჩუკის ქარხნის დამკვრელურ მშენებლობაზე კომკავშირული საგზურებით გაიგზავნა 500-ზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. არავითარი ეჭვი არ არის, რომ ამოცანა, რომელიც ახალგაზრდობის წინაშე დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა, აგრეთვე წარმატებით შესრულდება.

მიტინგის მონაწილეები ერთსულოვანი ტაშით მიესალმნენ ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა.

(გაგრძელება მე-2 გვ.)

კუიბიშევჰიდროშენის უფროსს ამხ. **ი. ვ. კომზინს**
კუიბიშევჰიდროშენის პარტკომის მდივანს ამხ. **ა. ა. კრასნუშკინს**
კუიბიშევჰიდროშენის გაერთიანებული სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. **მ. ა. ბურმაზოვს**
საკავშირო ალკკ კუიბიშევჰიდროშენის კომიტეტის მდივანს ამხ. **ნ. ლ. ლოხმაზოვს**
კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის დირექტორს ამხ. **ა. კ. რიაბოშაპკოს**
სსრ კავშირის ელექტროსადგურების მინისტრს ამხ. **ა. ს. პავლენკოს**
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კუიბიშევის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. **მ. ტ. ეფრემოვს**
კუიბიშევის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს ამხ. **ს. ა. პეტრუხინს**

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ყველა მუშას, ინჟინერს, ტექნიკოსსა და მოსამსახურეს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ კუიბიშევჰიდროშენის მშენებელთა და მემონტაჟეთა კოლექტივს ახალგაზრდა შრომით გმარჯვებას — კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დამთავრებას.

ვახორციელებთ რა დიდი ლენინის ანდერძს ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის საქმეში, ვოლგაზე შეიქმნა მსოფლიოში უდიდესი 2 მილიონ 300 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური, რომლის აგება მთელი საბჭოთა ხალხის საქმეა.

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დამთავრებით და მთელი სიმძლავრით ამუშავებით კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადაიდგა წინ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში, გამოვლინებულია ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდების, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ახალი შესაძლებლობანი.

კუიბიშევის ჰიდროკვანძის მშენებლობაში ჩაქსოვილია მრავალი ათასი მუშის, მეცნიერის, ინჟინრისა და ტექნიკოსის შრომა.

მთელი მისი ნაგებობანი აღჭურვილია უნიკალური მექანიზმებითა და მოწყობილობით, რომლებიც კონსტრუირებული და დამზადებულია სამამულო ქარხნებში, რაც კვლავ დასტურებს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის წარმატებით განვითარებას, საბჭოთა ინდუსტრიის დღითიდღე მზარდ ძლიერებას, საბჭოთა ადამიანების უნარს განახორციელონ უაღრესად გაბედული ჩანაფიქრი და გეგმები.

ვოლგის გიგანტის მშენებლობა იყო ბუნების ძალების დაპყრობისათვის ბრძოლის შესანიშნავი სკოლა, მან გაამრავლა საბჭოთა ჰიდროენერგომშენებლების ტექნიკური და საწარმოო გამოცდილება. ჰიდროელექტროსადგურისა და 400-500 კილოვოლტი ძაბვის ელექტროგადაცემის მძლავრი ხაზების მშენებლებმა ღირსეულად შეასრულეს თავისი მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი.

მთელმა ჩვენმა ხალხმა კანონიერი სიამაყის გრძნობით შეიტყო, რომ დამთავრდა კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და იგი მწყობრში ჩადგა.

ჟიგულთან ვოლგაზე . გამარჯვება ისევე, როგორც ტექნიკური პროგრესის ბევრი სხვა მიღწევა ჩვენს ქვეყანაში, თვალი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფს საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობას, რომელმაც გამოავლინა ხალხის — კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ხალხის შემოქმედებითი ძალები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა და მემონტაჟეთა კოლექტივი, რომელმაც შეიძინა გამოცდილება და ცოდნა, უფრო ნაყოფიერად იმრომებს ჩვენი ქვეყნის ახალ მშენებლობებზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

უდიდესი სიხარულით მოგახსენებთ, რომ დამთავრდა კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომლის საპროექტო სიმძლავრე 2 მილიონ 100 ათასი კილოვატია და ელექტროენერგიის ამუშავება უდრის 10,8 მილიარდ კილოვატსაათს წელიწადში. განხორციელდა ჰიდროკვანძის ნაგებობათა ყოველმხრივი ხანგრძლივი შემოწმება მუშაობის დროს და ისინი წარდგენილი არიან მუდმივ ექსპლოატაციოდ გადასაცემად.

კუიბიშევის ჰიდროკვანძი წარმოადგენს საინჟინრო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა რთულ კომპლექსს, აგებულია უმაგალითოდ მოკლე ვადებში და ახალი წვლილია ჰიდრომშენებლობის მსოფლიო პრაქტიკაში.

ჰიდროკვანძში შედის ჰიდროელექტროსადგურის რკინაბეტონის ნაგებობა, რომლის სიგრძე 700 მეტრი და სიმაღლე 80 მეტრია; 981 მეტრი სიგრძის წყალსაშვები რკინაბეტონის კაშხალი, რომელსაც წამში 40 ათასი კუბური მეტრი წყლის გაშვება შეუძლია; 2.800 მეტრი სიგრძის მიწის კაშხალი, რომელიც ამოვსებულია ადგილობრივი გრუნტით; ორი დიდი ზომის სანაოსნო რაბი არხებითურთ. შექმნილია 6.500 კვადრატული კილომეტრი ფართობისა და 58 მილიარდი კუბმეტრი მოცულობის წყალსაცავი, რომელიც ყველაზე დიდი ხელოვნური წყალსატევია მსოფლიოში.

კუიბიშევის ჰიდროკვანძის აგება ქვიშიან და თიხნარ გრუნტზე მშენებელთა, საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციათა უდიდესი ინჟინერული მიღწევაა, რომლებმაც გამოიყენეს მოწინავე ტექნიკური გადაწყვეტანი და შექმნეს ახალი სრულყოფილი მოწყობილობა და მექანიზმები.

მშენებლობის წლებში შესრულებულია 190 მილიონი კუბმეტრი მიწის სამუშაო, ჩასხმული და დაგებულია 7 მილიონ 400 ათასი კუბმეტრი ბეტონი და რკინაბეტონი, დამონტაჟებულია 200 ათას ტონაზე მეტი ლითონკონსტრუქცია და ჰიდროძალური მოწყობილობა. ჰიდროკვანძის ნაგებობებზე შესრულებულია მოსაპირკეთებელ სამუშაოთა დიდი მოცულობა.

დიდმწარმოებლური მექანიზმების გამოყენებამ უზრუნველყო ბრიგადის მაღალი ნაყოფიერება. მიწის სამუშაოთა ინტენსივობამ აღწია 58 მილიონ კუბმეტრს წელიწადში და 400 ათას კუბმეტრს დღეღამეში, ბეტონის ჩასხმის ინტენსივობამ შეადგინა 3.134 ათასი კუბმეტრი წელიწადში, რაც აღემატება ადრე მიღწეულ ტემპს როგორც ჩვენს, ისე საზღვარგარეთის ჰიდრომშენებლობებზე.

სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა შეთავსების, ჰიდროძალური, ელექტროტექნიკური მოწყობილობისა და ლითონკონსტრუქციების წინასწარ გამსხვილებული აწყობის მეთოდების ფართოდ გამოყენებამ შესაძლებელი გახადა სამონტაჟო სამუშაოთა ნაკადურ-პარალელური შესრულების ორგანიზაცია. პირველი ჰიდროაგრეგატი ამუშავდა 1955 წლის 29 დეკემბერს, ხოლო 1957 წლის 14 ოქტომბერს საექსპლოატაციოდ გადაეცა უკანასკნელი — მე-20 ჰიდროაგრეგატი. ერთი აგრეგატის მონტაჟის პროექტით გათვალისწინებული დრო ერთიორად და უფრო მეტად შემცირდა.

პირველი ჰიდროაგრეგატის ამუშავების დღიდან ელექტროსადგურმა გამოიმუშავა 15 მილიარდზე მეტი კილოვატსაათი იაფი ელექტროენერგია და ამით სახელმწიფოს დაუბრუნდა ერთ მილიარდზე მეტი მანეთი, დაზოგილია 20 მილიონი ტონა მოსკოვის ოლქის ქვანახშირი.

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის საექსპლოატაციოდ გადაცემით და კუიბიშევის ჰესი-მოსკოვის 400 კილოვოლტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის ამუშავებით ძირეულად გაუმჯობესდა ჩვენი სამშობლოს ცენტრალური სამრეწველო რაიონისა და ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის მოსკოვის ელექტრომომარაგება, რაც დიდმნიშვნელოვანი რგოლია სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ერთიანი ენერგოსისტემის შექმნაში, რომელიც გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით. მიმდინარე წლის ივლისში მწყობრში ჩადგა კუიბიშევის ჰესი-ურალის 500 კილოვოლტი ძაბვის ელექტროგადამცემი მაღალძაბვიანი ხაზის პირველი რიგი.

კუიბიშევის ჰიდროკვანძის მშენებლობა ჰიდრომშენებელთა ახალი სახელოვანი რაზმის შექმნის სერიოზული სკოლაა. შექმნილია მშენებელთა და მემონტაჟეთა დარაზმული მრავალათასიანი კოლექტივი, გაიზარდნენ სპეციალისტთა შესანიშნავი კადრები. ასობით კვალიფიციური მუშა სრულყოფილად დაეუფლა უახლესი დიდმწარმოებლური მანქანებისა და მექანიზმების მართვას. ახალგაზრდა ინჟინრები და ტექნიკოსები გამოცდილი მშენებლები გახდნენ. ბევრი მათგანი ახლა მუშაობს სტალინგრადის, ბრატსკის, კრემენჩუგის, სარატოვისა და სხვა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე.

მშენებლობის მთელი წლების მანძილზე კუიბიშევჰიდრომშენის კოლექტივი ყოველდღიურად გრძნობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვასა და ყურადღებას.

კუიბიშევის ჰესის მშენებლობა უზრუნველყოფილი იყო ყოველივე აუცილებელით: პირველხარისხოვანი სამშენებლო ტექნიკით, მოწყობილობით, მექანიზმებითა და მასალებით. ჰიდროკვანძის მშენებლობაში დიდ დახმარებას უწევდნენ მშენებლებს მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ურალისა და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონების ქარხნების კოლექტივები.

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები და მემონტაჟეები აღუთქვამენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და საბჭოთა მთავრობას, რომ ისინი მზად არიან კვლავაც შეასრულონ პარტიისა და მთავრობის ყოველი დავალება.

კუიბიშევჰიდრომშენის უფროსი ი. კომზინი
კუიბიშევჰიდრომშენის პარტკომის მდივანი ა. კრასნუშკინი
კუიბიშევჰიდრომშენის გაერთიანებული სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე მ. ბურმატოვი
საკავშირო ალკკ კუიბიშევჰიდრომშენის კომიტეტის მდივანი ნ. ლოხმატოვი
კუიბიშევის ჰესის დირექტორი ა. რიაბოშაპკო
სსრ კავშირის ელექტროსადგურების მინისტრი ა. პავლენკო
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კუიბიშევის საოლქო კომიტეტის მდივანი მ. ეფრემოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი გაემგზავრა მსოფლიო გამოფენაზე ბრიუსელში

10 აგვისტოს დღისით მოსკოვიდან ბრიუსელს სპეციალური თვითმფრინავით „ტუ-104“ გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი. ბელგიის დედაქალაქში იგი ინახულებს 1958 წლის მსოფლიო გამოფენას, რომელზეც 11-13 აგვისტოს აღინიშნება სსრ კავშირის ეროვნული დღეები.

კ. ე. ვოროშილოვის გასაცილებლად ვნუკოვოს აეროდრომზე შეიკრიბნენ მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები. აეროვაგზლის შენობასთან ფრიალებენ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმები.

საფრენოსნო მოედანზე მოვიდნენ ამხანაგები ნ. ა. მუხიტდინოვი, ნ. მ. შვერნიკი, ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ი. კ. აბდულაევი და სხვები.

გამცილებელთა შორის იყვნენ დიპლომატიური კორპუსის წევრები.

შეკრებილნი გულთბილად გამოეთხოვნენ კ. ე. ვოროშილოვს და უსურვეს მშვიდობის მგზავრობა. საჰაერო ხომალდი „ტუ-104“ ჰაერში ავიდა და კურსი დასავლეთისაკენ აიღო.

კ. ე. ვოროშილოვს ახლავან სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი მ. დ. კოვრიგინა, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ს. ვ. კაფტანოვი. ბრიუსელში მათ შეუერთდება სსრ კავშირის ელჩი ბელგიაში ვ. ი. ავილოვი. (საკადესი).

კ. ე. ვოროშილოვი ბელგიაში ჩავიდა

ბრიუსელი, 10 აგვისტო. **(საკადესის სპეც. კორ.).** დღეს თვითმფრინავით „ტუ-104“ ბრიუსელს ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი. ამხანაგ ვოროშილოვს ახლავან საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი მ. დ. კოვრიგინა და სსრ კავშირის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ს. ვ. კაფტანოვი.

17 საათსა და 10 წუთზე ბრიუსელის დროით საბჭოთა რეაქტიული ლაინერი ნაზად დაეშვა ბრიუსელის მელსბრუკის აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და ბელგიის სახელმწიფო ალმებით. საპატიო სტუმარს შეხვდნენ მისი უდიდებულესობა ბელგიის მეფე ბოდუენ I, ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრი პიერ ვინიი და ბელგიის მთავრობის სხვა წარმომადგენლები, სამეფო კარის წევრები. შემხვდურთა შორის იყო აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ბელგიაში ვ. ი. ავილოვი. აეროდრომზე იყვნენ აგრეთვე დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან ბელგიაში, გაზეთების, რადიოს, ტელევიზიისა და კინოს მრავალი კორესპონდენტი. აეროდრომზე კ. ე. ვოროშილოვის შესახვედრად შეიკრიბა დედაქალაქის ბევრი მცხოვრები.

საზეიმოდ ეღერენ საბჭოთა კავშირისა და ბელგიის სახელმწიფო ჰიმნები. ამხ. ვოროშილოვმა მეფე ბოდუენის თანხლებით ჩამოუარა საპატიო ყარაულის მწყობრს.

17 საათსა და 25 წუთზე ამხანაგი ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები ავტომობილებში სხდებიან და ბრიუსელს მიემგზავრებიან. დედაქალაქისაკენ გზაში საბჭოთა სტუმრებს გულთბილად მიესალმებოდა ბელგიის დედაქალაქის ათასობით მცხოვრები, რომლებიც კორტეჟის გზაზე შეიკრიბნენ.

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურში ჩავიდნენ ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, დ. ს. პოლიანსკი

დაბა კომსომოლსკი (კუიბიშევის ოლქი). 9 აგვისტო.

დღეს მსოფლიოში უდიდესი კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის საზეიმო გაშვებაზე დასასწრებად აქ მოსკოვიდან ჩამოვიდნენ ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, დ. ს. პოლიანსკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ი. კუზმინი და სხვები.

მათთან ერთად ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კუიბიშევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ტ. ეფრემოვი, კუიბიშევის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. ა. პეტრუხინი და ვოლგისპირეთის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ვ. ნ. კომაროვი.

სადგურ ჟიგულის ზღვაზე სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ ათასობით ჰიდრომშენებელი, საექსპლოატაციო დარგის მუშაკები, საწარმოთა მუშები, კოლმეურნეები, ახლომახლო ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებნი. შეხვედრთა შორის იყვნენ: ელექტროსადგურების მინისტრი ა. ს. პავლენკო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კუიბიშევის საოლქო კომიტეტის მდივნები ა. ს. მურისევი, ა. მ. ტოკარევი, პ. ი. აგაპოვი, დ. ს ზემლიანსკი, „კუიბიშევჰიდრომშენის“ უფროსი ი. ვ. კომზინი, კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის დირექტორი ა. კ. რიაბოშაპკო, ელექტროსადგურების სამინისტროს ჰიდროპროექტის მთავარი ინჟინერი გ. ა. რუსო, კუიბიშევის ჰესის პროექტის მთავარი ინჟინერი ნ. ა. მალეშევი და სხვები.

ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა ... ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა მონაწილეობა მივიღოთ ისეთ შესანიშნავ მოვლენაში, როგორიც არის ჩვენი დღევანდელი დღესასწაული.

ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით მივესალმო მშენებელთა და მემონტაჟეთა სახელოვან კოლექტივს, გულითადად მოგილოცოთ კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დამთავრება. **(მჭუხარე ტაში).**

თქვენ ახალი სასახელო ფურცელი ჩაწერეთ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ისტორიაში და ამავე დროს თქვენი შრომითი გმირობით, თქვენი გამოცდილებით გაამდიდრეთ სამამულო და მსოფლიო მეცნიერება და ჰიდრომშენებლობის პრაქტიკა. პატივი და დიდება თქვენ, ამხანაგებო! **(მჭუხარე ტაში).**

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში დავალების წარმატებით შესრულებისა და სამამულო ჰიდრომშენებლობის განვითარებაში დიდი მიღწევებისათვის „კუიბიშევჰიდრომშენის“ კოლექტივი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა დიდი ჯგუფი თავისი თავდადებული შრომისათვის დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით, ხოლო თქვენგან ყველაზე უკეთეს 25 კაცს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ამასთან განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატებისათვის ვ ი ს სოციალისტური შრომის გმირი ალექსი ალექსანდრეს-ძე ულესოვი დაჯილდოებულია მეორე ოქროს medlით „ნამგალი და ურო“.

ნება მიბოძეთ სულითა და გულით მივულოცო თქვენს ორდენოსან კოლექტივს და თითოეულ დაჯილდოებულ ამხანაგს თქვენი შრომის მაღალი შეფასება! **(ხანგრძლივი ტაში).**

მაგრამ ჩვენ ვერ დავივიწყებთ, რომ კუიბიშევის ჰიდროკვანძის მშენებლობაში ჩაქსოვილია ჩვენი ქვეყნის ათობით და ასობით ათასი მუშის, მეცნიერის, ინჟინრისა და ტექნიკოსის შრომა. დიდი შრომითი გამარჯვება, რომელსაც დღეს აღვნიშნავთ, მთელი საბჭოთა ხალხის გამარჯვებაა. კუიბიშევის ჰიდროკვანძის მშენებლებთან და მემონტაჟეებთან ერთად დღეს სიხარულით მივესალმებით და ვულოცავთ საწარმოთა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულება თ ა ყველა მუშას, მეცნიერს, ინჟინერსა და ტექნიკოსს, ვისი შრომა და შემოქმედებითი აზრი ხელს უწყობდა მშენებლობის წარმატებას. **(ტაში).**

ზეიმი, რომელიც ეძღვნება კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურში სამშენებლო სამუშაოთა დამთავრებას, დაემთხვა მშენებლების დღის დღესასწაულს. საბატიო პროფესია მშენებლებისა, რომლებიც ქმნიან სულ ახალ-ახალ საწარმოებსა და ელექტროსადგურებს, რკინიგზების მაგისტრალებსა და ახალ ქალაქებს, აშენებენ ათასობით და ათასობით ახალ საცხოვრებელ სახლს მშრომელებისათვის. საბჭოთა ადამიანები სულითა და გულით მიესალმებიან მშენებლებს, რომლებიც ძალების დაუზოგავად შრომობენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, აშენებენ ქარხნებს, ფაბრიკებს, საცხოვრებელ სახლებს, აშენებენ ყველაფერს, რაც ჩვენს საზოგადოებას ესაჭიროება.

ამხანაგებო! ვოლგაზე მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის შექმნა უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკუ რ ი მნიშვნელობის მოვლენაა, დიდმნიშვნელოვანი რგოლია ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის პროგრამის შესრულებაში, რომელსაც ჩვენი ხალხი ახორციელებს დიდი ლენინის უკვდავი ანდერძით.

იმუშავებდა რა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გეგმებს, ვ. ი. ლენინი განსაკუთრებული ძალით აღნიშნავდა ხაზგასმით, რომ თანამედროვე მსხვილი წარმოების ტექნიკური ბაზა შეიძლება იყოს მხოლოდ ელექტრობა.

„მხოლოდ მაშინ, — ამბობდა იგი, — როცა ჩვენი ქვეყანა ელექტროფიცირებული იქნება, როცა მრეწველობას, სოფლის მეურნეობასა და ტრანსპორტს გაუჩნდება თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ტექნიკური ბაზა, მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ საბოლოოდ“.

ყველას ახსოვს ლენინის სიტყვები, რომ კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია.

რუსეთის ელექტროფიკაციის შესანიშნავი ლენინური გეგმა (გოელრო) ითვალისწინებდა მილიონნახევარი კილოვატი საერთო სიმძლავრის 30 ახალი რაიონული ელექტროსადგურის მშენებლობას. დასახული იყო ყველა ელექტროსადგურის საერთო სიმძლავრე აგვეყვანა მილიონ 750 ათას კილოვატამდე, 8.8 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგიის წლიური გამომუშავებით. იგი ნავარაუდევი იყო 10-15 წლისათვის. ეს იყო პირველი ნაბიჯი ელექტროფიკაციის გზაზე, რომელიც პარტიამ ლენინის ხელმძღვანელობით დასახა. და ამ გზით პარტიამ მტკიცედ წაიყვანა ჩვენი ხალხი. ხოლო რამდენი იყო ისეთი ადამიანი, რომელიც ეჭვობდა, არ სწამდა დიადი ლენინური გეგმების შესრულება!

დღეს უნებლიეთ გვაგონდება ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის საუბარი ცნობილ ინგლისელ მწერალთან ჰერბერტ უელსთან, რომელიც 1920 წელს საბჭოთა რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ თავის წიგნში „რუსეთი ბურუსში“ წერდა:

„...ლენინი, რომელიც, როგორც ნამდვილი მარქსისტი, უარყოფს ყველა „უტოპისტს“, ბოლოს და ბოლოს თვითონ ჩავარდა უტოპიაში, ელექტროფიკაციის უტოპიაში. იგი ყველაფერს აკეთებს, რაც მასზე დამოკიდებულია, რათა შექმნას რუსეთში დიდი ელექტროსადგურები, რომლებიც მთელ გუბერნიებს მისცემენ ენერგიას განათებისათვის, ტრანსპორტისა და მრეწველობისათვის. მან თქვა, რომ ცდის წესით უკვე ელექტროფიცირებულია ორი რაიონი. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ უფრო გაბედული პროექტი ამ უზარმაზარ ვაკე, ტყეებით დაფარულ, უწიგნური გლეხებით დასახლებულ, წყლის ენერგიას მოკლებულ ქვეყანაში, რომელსაც არა ჰყავს ტექნიკის მცოდნე ადამიანები, სადაც თითქმის ჩაკვდა ვაჭრობა და მრეწველობა?“.

ახლა ყველა ხედავს, რომ საბჭოთა ხალხი თავისი გმირული შრომით ახორციელებს ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის ლენინურ იდეას. კომუნისტურმა პარტიამ ხალხში გააღვიძა დევგმირული ძალები და ეს ძალები იზრდებიან, იმორჩილებენ ბუნებას, გიგანტური ნაბიჯით სწევენ წინ მეცნიერებასა და ტექნიკას, ახალ, სოციალისტურ საწყისებზე გარდაქმნიან ჩვენი ქვეყნის მთელ ეკონომიკას, ჩვენი ცხოვრების მთელ წყობას.

ოდესღაც განუხორციელებელ ოცნებად ითვლებოდა მილიონნახევარი კილოვატი სიმძლავრის ელექტროსადგურის აგება 10-15 წელიწადში, ახლა კი ერთი წლის განმავლობაში მწყობრში ვაყენებთ დაახლოებით 5 მილიონ კილოვატ ელექტროსიმძლავრეებს.

თქვენი ხელით შექმნილი კუიბიშევის ელექტროსადგური 5-ჯერ მეტ ელექტროენერგიას იძლევა, ვიდრე იძლეოდა რევოლუციამდელი რუსეთის ყველა ელექტროსადგური ერთად. იგი უკვე ამარაგებს ელექტროენერგიით ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვს, კუიბიშევისა და სარატოვის ოლქების მრეწველობას, თათრეთის ნავთობსარეწებს. მისი დენი მალე დამატებითს ენერგიას მისცემს ურალის მძლავრ ინდუსტრიას. კუიბიშევის ჰიდროკვანძის ბაზაზე იზრდება ახალი დიდი სამრეწველო რაიონი ინდუსტრიის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დარგების საწარმოებით.

დღეს ვოლგაზე უკვე მუშაობს მთელი კასკადი — 5 მძლავრი ჰიდროელექტროსადგური. რევოლუციამდელ რუსეთთან შედარებით ელექტროენერგიის გამომუშავება ჩვენში ერთიანად და მეტად გადიდდა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ 1928 წელს ელექტროენერგიის წარმოების მხრივ ჩვენი ქვეყანა ჩამორჩებოდა ისეთ ქვეყნებს, როგორიც არიან ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, გერმანია, კანადა, იაპონია, საფრანგეთი, იტალია, ნორვეგია. ახლა ელექტროენერგიის წარმოების მხრივ საბჭოთა კავშირმა დაიკავა პირველი ადგილი ევროპაში და გამოვიდა მეორე ადგილზე მსოფლიოში. **(მჭუხარე ტაში).**

გიგანტური ჰიდროელექტროსადგურები შენდება ვოლგაზე, დნეპრზე, კამაზე, ანგარაზე, ირტიშზე. ქვანახშირით მდიდარ რაიონებში შენდება მძლავრი თბოელექტროსადგურები. მსოფლიოში პირველი ატომის ელექტროსადგურის შემდეგ მწყობრში ჩადგებიან მთელი რიგი ახალი უფრო დიდი ატომის ელექტროსადგურები. მეექვსე ხუთწლედში ელექტროენერგიის გამომუშავება საბჭოთა კავშირში 150 მილიარდი კილოვატსაათით გადიდდება.

აი ჭეშმარიტად რა ბუმბერაზული ნაბიჯით მიდის წინ ჩვენი ქვეყანა ელექტროფიკაციის გზით, რომელიც ჩვენმა მასწავლებელმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა დაგვისახა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ახლა ჩვენ გვეძლევა მატერიალური შესაძლებლობა განვახორციელოთ ლენინის იდეები ჩვენი ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის შესახებ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაავალა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და შესაბამის ორგანოებს შეიმუშაონ ჩვენი ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის გეგმა, რათა განვახორციელოთ ვ. ი. ლენინის დიადი ოცნება. ამით შეიქმნება მძლავრი ბაზა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების ყოვლისმომცველი განვითარებისათვის. ამ თანამედროვე ბაზაზე კიდევ უფრო წარმატებით განხორციელდება კომუნისტური საზოგადოები ს მშენებლობა. **(ტაში).**

ისეთი უდიდესი ჰიდროელექტროსადგურების აგება, როგორიც არის კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურები, უკვე შესაძლებლობას გვაძლევს ფართო მასშტაბით განვახორციელოთ საირიგაციო სამუშაოები სტალინგრადის, სარატოვის, კუიბიშევისა და სხვა ოლქების რაიონებში, გამოვიყენოთ ამისათვის მძლავრი ჰიდროენერგეტიკული ენერგეტიკული და წყლის რესურსები. ეს საშუალებას მოგვცემს მივიღოთ უხვი, მყარი მოსავალი, გავადიდოთ სოფლის მეურნეობის იაფი პროდუქციის წარმოება ხალხის მზარდ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის.

ვეყრდნობით რა მძლავრ და სწრაფად მზარდ ენერგეტიკას, ჩვენ ვავითარებთ საწარმოო ძალებს როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაშიც ისეთი ტემპით, როგორიც კაპიტალიზმს არ ახსოვს თავისი აღმავლობის ხანაშიც კი. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ და დიდებულად გამოხატავს სოციალისტური წყობილების დიად შემოქმედებითს ძალას, მის უპირატესობას კაპიტალისტური წყობილების წინაშე.

ამხანაგებო! ამ ბოლო დროს ჩვენ ავამოქმედეთ ახალი მძლავრი რეზერვები, რომლებიც სოციალისტურ სახალხო მეურნეობაში მოიპოვება. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა, საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისა და მტსების რეორგანიზაციის ღონისძიებანი, ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება და ჩვენი პარტიის სხვა ღონისძიებანი შესანიშნავ შედეგებს იძლევიან.

ამას წინათ, როგორც იცით, გამოქვეყნდა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა 1958 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. ცნობაში აღნიშნულია, რამდენი და რა პროდუქცია გამოვუშვით. და აი, თუ ავიღებთ მრეწველობის პროდუქციის ამ რაოდენობას და შევადარებთ ახლო წარსულს, აღმოჩნდება, რომ მარტო ნახევარი წლის განმავლობაში ჩვენ ვაწარმოეთ: ქვანახშირი— უფრო მეტი, ვიდრე მთელ 1949 წელს; ფოლადი — იმდენივე, ხოლო თუჯი და ნაგლინი — მეტი, ვიდრე მთელ 1950 წელს; ელექტროენერგია — უფრო მეტი, ვიდრე მთელ 1951 წელს; ტრაქტორი — თითქმის იმდენივე, რამდენიც მთელ 1953 წელს; ელექტრომავალი — გაცილებით მეტი, ვიდრე მთელ 1954 წელს; ნავთობი— მეტი, ვიდრე მთელ 1953 წელს; ბუნებრივი გაზი — მეტი, ვიდრე მთელ 1956 წელს.

აი რა ტემპით ვიზრდებით, ამხანაგებო! ეს არის ჩვენი საბჭოთა ბოლშევიკური ზრდა! ეს არის ჩვენი ხელული და ხელშესახები ნაბიჯები კომუნიზმისაკენ. **(მჭუხარე ტაში).**

რას მოწმობენ ეს შედეგები? ისინი მოწმობენ, რომ ჩვენი ქვეყანა მტკიცედ მიდის ეკონომიური აყვავების გზით, რომ კომუნისტური პარტიის მიერ შთაგონებული და მისი ხელმძღვანელობით მუშები და კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია წარმატებით წყვეტენ ძირითად ეკონომიურ ამოცანას — უმოკლეს ისტორიულ ვადაში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

კარგი მდგომარეობა გვაქვს აგრეთვე სოფლის მეურნეობაში. თითქმის ყველგან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მარცვლეულისა და სხვა სოფლის მეურნეობის კულტურების უხვ მოსავალს იღებენ. ჩვენი ქვეყანა მიიღებს მეტ პურს, ვიდრე მოსავლიანობის მხრივ რეკორდულ 1956 წელს. იზრდება რძის, ხორცის, ერბო-კარაქისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება.

ყველა ჩვენგანს, საბჭოთა ადამიანებს, ახარებს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში მიღწეული წარმატებანი. ჩვენმა ქვეყანამ სწორედ საბჭოთა მეცნიერების, კონსტრუქტორების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების შესანიშნავ მიღწევათა და აღმოჩენათა საფუძველზე განახორციელა კაცობრიობის ისტორიაში პირველად დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრთა გაშვება, რითაც ახალი ერა დაიწყო მსოფლიო სივრცის შესწავლაში. სსრ კავშირში სულ უფრო ფართო მასშტაბით ვიყენებთ ატომის ენერგიას მშვიდობიანი მიზნით. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების საფუძველზე ხდება ღრმა თვისებრივი ცვლილებანი ჩვენს მრეწველობაში; ხორციელდება წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პროგრამა. ადამიანის შრომა უფრო ნაყოფიერი და უფრო მსუბუქ ხდება.

კომუნისტურ პარტიას მთელი თავისი მუშაობის აზრად ყოველთვის ის მიაჩნდა და მიაჩნია, რომ გაუმჯობესდეს ხალხის ცხოვრება, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილდეს ხალხის მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი. ამ მიზნით განხორციელდა ოქტომბრის რევოლუცია, აშენდა სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა ხალხი სისხლისმღვრელ ბრძოლებში ამ მიზნით იცავდა თავის სამშობლოს, იცავდა თავის სოციალისტურ მონაპოვრებს იმპერიალისტების მხრივ ხელყოფისაგან, იბრძოდა, აშენებდა, ყველა სიძნელეს სძლევდა თავის გზაზე.

ჩვენ დიდი წარმატებანი მოვიპოვეთ. მაგრამ ვიცით, რომ ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი ამოცანა გვაქვს. კიდევ უფრო წარმატებით რომ წავიწიოთ წინ, პარტია მოგვიწოდებს განუხრელად გზარდოთ შრომის ნაყოფიერება, კიდევ უფრო სწრაფად ვნერგოთ ახალი პროგრესული ტექნიკა და ტექნოლოგია, წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია. საჭიროა ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ ქიმიური მრეწველობა, განვავითაროთ პლასტიკური მასებისა და ხელოვნური ბოჭკოს წარმოება. ყველა ამ ამოცანის გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული სახალხო მეურნეობის ენერგეტიკული ბაზის შემდგომ წარმატებითს განვითარებაზე.

ამხანაგებო! დღეს ჩვენ აღვნიშნავთ კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა კარგ მუშაობას, აღვნიშნავთ დიდ წარმატებას ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციაში. გვახარებს რა ეს წარმატებანი და ჯეროვნად ვაფასებთ რა მათ, ჩვენ მოვალენი ვართ ამასთანავე ვხედავდეთ ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი კიდევ უფრო სწრაფი განვითარების, კიდევ უფრო დიდ წარმატებათა მიღწევის რეზერვებს.

თქვენი კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგური ზვიდ წელს შენდებოდა. რასაკვირველია, ეს უდიდესი სადგურია მსოფლიოში და იგი ჩვენი ხალხის სიამაყეა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამერიკელები თავიანთ ყველაზე დიდ ჰიდროელექტროსადგურს — გრენდ-კულის სადგურს, რომლის სიმძლავრე 1 მილიონ 974 ათასი კილოვატია, 20 წელიწადზე მეტ ხანს აშენებდნენ, ჩვენმა საბჭოთა ჰიდრომშენებლებმა კი კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგური ზვიდ წელიწადში ააშენეს, ეს ამხანაგები თვალსაჩინო გამარჯვებაა. **(ტაში).** ჩვენ ეს ვადა მაინც რამდენადმე გაჭიანურებულად მიგვაჩნია. ზოგმა ვინმემ შეიძლება თქვას: რატომ მიაჩნია ხრუშჩოვს, რომ ეს ვადა გაჭიანურებულია, ჩვენ ხომ კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგური თითქმის სამჯერ უფრო სწრაფად ავაშენეთ, ვიდრე ამერიკელებმა ააშენეს თავიანთი ყველაზე დიდი, მაგრამ ჩვენსაზე ნაკლებად მძლავრი ჰიდროელექტროსადგური?

რასაკვირველია, ყოველივე ეს მართალია. და ჩვენ სულაც არ გვინდა დავამციროთ ჩვენი ინჟინრების, მეცნიერების, მუშების მიღწევები, რომლებმაც ასეთი შესანიშნავი სადგური ააშენეს.

მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს ვაშენოთ ელექტროსადგურები მნიშვნელოვნად უფრო სწრაფად, ვიდრე დღემდე ვაშენებდით. და თუ ეს ასეა, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მთელი ჩვენი ძალები და სახსრები, ხოლო რაც მთავარია — დავრაზმოთ ამ საქმის შესასრულებლად ადამიანები — მეცნიერები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მშენებლები, მემონტაჟეები — ელექტროსადგურების მშენებ ე ლ თ ა მთელი ჩვენი დიდი არმია.

რატომ ვაყენებთ ასე საკითხს? იმიტომ, რომ მშენებლობის ვადების შემცირებას უდიდესი სახალხო სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. რას ნიშნავს ელექტროსადგურების მშენებლობის ვადების შემცირება? ეს იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელი გავხადოთ უფრო სწრაფად განვითარდეს ჩვენი მრეწველობა, შევქმნათ ახალი საწარმოები, რომლებიც გამოუშვებენ ბევრ ძვირფას პროდუქციას სახალხო მეურნეობისათვის, ფართო მოხმარების საგნებს მოსახლეობისათვის.

ელექტროსადგურების მშენებლობის ვადების შემცირება შესაძლებელს გახდის დაჩქარდეს ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტა — დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. აქაც მეტად მწვავედ დგას საკითხი, რომ მოვიგოთ დრო.

ჩვენ ჯერ-ჯერობით ვაფასებთ ჩვენს მეცნიერებს, იმ ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსებსა და მუშებს, რომლებმაც შექმნეს ესოდენ შესანიშნავი ნაგებობა, როგორიც არის კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგური, რომლის საზეიმო ამუშავებას დღეს ვდღესასწაულობთ. მსოფლიოში ამ უდიდესი ჰიდროელექტროსადგურით განხორციელებულია ადამიანის გენია და საუკუნეთა განმავლობაში ემახსოვრებათ დამპროექტებლების, ინჟინრების, მეცნიერებისა და მშენებელი მუშების კეთილშობილური შრომა, რომლებიც ამ დიად მშენებლობაში მონაწილეობდნენ. **(მჭუხარე ტაში).**

ცნობილია, რომ ყველაზე იაფი ელექტროენერგია არის ჰიდროსადგურებისაგან მიღებული ელექტროენერგია. რატომ? იმიტომ, რომ ჰიდროსადგური აგებისა და ტურბინების ამუშავების შემდეგ ადამიანს არ მოეთხოვება თითქმის არავითარი ღონისძიება, რამდენადაც ძირითად როლს წარმოების მართვაში ასრულებენ ავტომატიკა და ტელემექანიკა. და მაინც, მიუხედავად ამ უპირატესობისა ჰიდროელექტროსადგურების აშენებისას, ჩვენ უნდა დავინახოთ ზოგიერთი ელემენტიც, რომლებიც გვაფიქრებენ იმაზე, თუ როგორ გამოვიყენოთ უფრო სწრაფად და რაციონალურად სახსრები ენერგეტიკის განვითარებისათვის. იბადება კითხვა: დროის მოცემულ პერიოდში ენერგეტიკის განვითარებაში რომელ მიმართულებას უნდა მივცეთ უპირატესობა — ჰიდროელექტროსადგურებისა თუ თბოელექტროსადგურების მშენებლობას? თანამედროვე პირობებში ყველაზე მთავარია დროს მოგება, მშენებლობის ვადების შემცირება და ნაკლები დანახარჯით მეტი ელექტროენერგიის მიღება. ამასთან საერთო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მიზნშეწონილია შეგნებულად შევურიგდეთ კილოვატსაათის ღირებულების ერთგვარ გაძვირებას, რათა მოგიგოთ დრო და მოკლე ვადაში მივიღოთ ელექტროენერგიის გამომუშავების მაქსიმალური მატება.

საკითხის ასეთ დაყენებას იწვევს ის, რომ ჩვენ მოკლე დროში დიდი სახსრები უნდა დავაბანდოთ მძიმე ინდუსტრიის და განსაკუთრებით ქიმიური მრეწველობის, შავი და ფერადი მეტალურგიისა და სხვა დარგების განვითარებაში. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ანალიზი უნდა გავუკეთოთ იმას, თუ როგორ მივიღოთ ერთი და იმავე სახსრებით ერთსა და იმავე ეკონომიურ რაიონში უფრო მალე და მეტი ელექტროენერგია. ჩვენ თუ ამას ვიზამთ, მივალთ დასკვნამდე, რომ ამჟამად საჭიროა რამდენადმე შევანელოთ ზოგიერთი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის განვითარება, რათა რაღაც წლებში შესაძლებელია 7-8 წელიწადში, პრიორიტეტი მივცეთ თბოსადგურების მშენებლობას. ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ უნდა შეწყდეს ჰიდროსადგურების მშენებლობა. ჩვენ ჰიდროსადგურების მშენებლობას არ ვუპირდაპირებთ თბოსადგურების მშენებლობას. საქმე ეხება იმას, რომ უპირატესობა მივცეთ თბოსადგურების მშენებლობას, მხედველობაში გვაქვს რა, რომ მოვიგოთ დრო კაპიტალიზმთან შეჯიბრებაში, დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის გამომუშავების მხრივ. **(ხანგრძლივი ტაში).**

შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი. სარატოვის ერთი მილიონი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტით მისი ღირებულება განისაზღვრება 4 მილიარდ მანეთზე მეტი თანხით, ხოლო ამ სადგურის აგებისათვის დრო დაახლოებით საჭირო იქნება ოთხი წელიწადი. მეცნიერები და ინჟინრები, რომლებიც თბოსადგურების დაპროექტებაზე მუშაობენ, წინადადებას იძლევიან აშენდეს ამავე სიმძლავრის თბოელექტროსადგურები, რომლებიც იმუშავებენ ამ რაიონში არსებული ბუნებრივი გაზით. ამასთან დანახარჯი შეადგენს არა 4 მილიარდ მანეთს, რაც საჭირო იქნება ჰიდროელექტროსადგურების ასაგებად, არამედ მილიარდს, ანუ ოთხჯერ ნაკლებს. და დროც ასეთი თბოსადგურების ასაგებად საჭირო იქნება სულ ბევრი სამი წელიწადი.

მაშასადამე, ჩვენ 1 მილიონი კილოვატი სიმძლავრის ერთი ჰიდროსადგურის ნაცვლად შეგვიძლია ავაგოთ ამავე სიმძლავრის 2 ან 3 თბოელექტროსადგური. ამასთან იქმნება ისეთი პირობები, რომ კილოვატსაათიც, როგორც ჩანს, მხოლოდ ცოტათი ძვირი იქნება.

სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ მილიონი კილოვატი დადგენილი სიმძლავრე ჰიდროელექტროსადგურებში ღირს ოთხიდან ექვს მილიარდ მანეთამდე, ხოლო მილიონი კილოვატი დადგენილი სიმძლავრე თბოელექტროსადგურებში, რომლებიც იაფი ქვანახშირით, ბუნებრივი გაზით ან მაზუთით მუშაობენ, ღირს დაახლოებით ერთი მილიარდი. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ როგორ შეუწყობს ეს ხელს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას ასეთი რაოდენობის ელექტროენერგიის არსებობისას.

ავიღოთ მეორე მაგალითი. გოგრის ჰიდროელექტროსადგურში, რომელიც დაახლოებით ათ წელს შენდებოდა, კილოვატსაათი ელექტროენერგია ღირს 2,5 კაპიკი. ხოლო თბოელექტროსადგურები რომ ავაგოთ კრასნოიარსკში, კუსტანაიში ან კუზბასში, სადაც არის იაფი ქვანახშირი, ჩვენ იქ მივიღებთ რამდენადმე უფრო ძვირ ელექტროენერგიას, მაგრამ სამაგიეროდ მივიღებთ უფრო მოკლე ვადებში. ეს ჩვენთვის მაინც ხელსაყრელია, იმიტომ რომ დროს ვიგებთ. თბოელექტროსადგურების მშენებლობის უფრო ფართო გაქანების პირობებში ჩვენ მივაღწევთ უმოკლეს ვადაში ელექტროენერგიის წარმოების მკვეთრ გადიდებას. ეს კი თავის მხრივ შესაძლებლობას მოგვცემს უფრო მეტი მასშტაბით მოვახდინოთ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზება, მნიშვნელოვნად გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება, შევამციროთ ძალებისა და სახსრების დანახარჯი პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე და შევამციროთ მისი თვითღირებულება.

ამრიგად, თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული კილოვატსაათი ელექტროენერგიის შედარებით უფრო დიდ ღირებულება ანაზღაურდება შრომის ნაყოფიერების გადიდებით სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ელექტროენერგიის ყოველნაირად გამოყენების ბაზაზე. ამის შედეგად ჩვენ არა მარტო არ გვექნება დანაკარგი, არამედ მეტ ეკონომიურ ეფექტს მივიღებთ თბოელექტროსადგურთა დაჩქარებული განვითარებისაგან.

ამ საქმეში დროის ფაქტორი უშუალო მატერიალურ დანახარჯებზე ძვირია, რადგან დაკარგული დროის ანაზღაურება შეუძლებელია რაიმე ფულადი დანახარჯით. კაპიტალისტურ ქვეყნებთან მშვიდობიან შეჯიბრებაში ჩვენ უნდა მოვიგოთ 10-15 წელი. ხოლო, როცა ამას მოვიგებთ და კიდევ უფრო განვავითარებთ ჩვენს მრეწველობას, მაშინ შევძლებთ გამოვყოთ საჭირო სახსრები ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობისათვის. მთელი რიგი ჰიდროელექტროსადგურების აგების ვადა რამდენადმე გადაიდება. მაგრამ სამაგიეროდ შემდეგ, როცა თბოელექტროსადგურთა მშენებლობის შედეგად გადავწყვეტთ ენერგეტიკის დაჩქარებული განვითარების გადაუდებელ ამოცანებს, შესაძლებლობა გვექნება მთლიანად გამოვიყენოთ ჰიდრორესურსები ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციისათვის. ჰიდრორესურსები, რაც ჩვენს ქვეყანას აქვს, ვერსად ვერ წაგვივა; რამდენიმე ხნის შემდეგ მთელი ეს რესურსები გამოყენებულ იქნება კომუნისტური საზოგადოების ინტერესებისათვის.

ამრიგად, ჩვენთვის ახლა მიზანშეწონილია ახალ ენერგეტიკულ რესურსებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოვლინდა იაფი ქვანახშირის, ბუნებრივი გაზის, ნავთობის სახით, დავაჩქაროთ თბოელექტროსადგურთა მშენებლობა. ეს საშუალებას მოგვცემს უფრო სწრაფად გავნაღდოთ ენერგეტიკის განვითარებაში დაბანდებული სახსრები, ხოლო რაც მთავარია — უფრო მოკლე ვადებში მივიღოთ ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო ელექტროენერგია.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბევრი ჰიდრომშენებელი ინჟინერი და მეცნიერი ამას როდი ითვალისწინებს. მთელი ყურადღება უნდა მიეპყროს ამ ამოცანის გადაწყვეტას და დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მეცნიერები, ინჟინრები, კონსტრუქტორები და მუშები გამონახავენ ელექტროსადგურთა მშენებლობის ვადების შემცირების შესაძლებლობას.

ჰიდროელექტროსადგურთა აგების დროს მშენებლობის ვადების შემცირების დიდ შესაძლებლობას იძლევა ასაწყობი რკინაბეტონის გამოყენება. ამ უკანასკნელი ხანამდე მიაჩნდათ, რომ ჰიდროელექტროსადგურთა კაშხლების აგება შეიძლება მხოლოდ მონოლითური ბეტონით. ჰიდრორეზენბლებმა რომ უზრუნველყონ სამშენებლო სამუშაოთა შესაბამისი ორგანიზაცია ისე, რომ ადგილები აშენონ ასაწყობი რკინაბეტონით, ეჭვი არ არის, რომ ჩვენ მნიშვნელოვნად შევამცირებდ მშენებლობის ვადებს.

რამდენიმე თვის წინათ ჩვენ ... საკითხები განვიხილეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში და დავავალეთ ელექ... როსადგურთა სამინისტროს ... გად მოიფიქროს ასაწყობი რკინ... ბეტონის გამოყენების საკითხი ... ამ გზით შეამციროს ჰიდროელექ... ტროსადგურთა მშენებლობის ... დები, მოეთათბიროს ინჟინრებ... მეცნიერებს, მოისმინოს მათი მ... საზრებანი, თუ რა შესაძლებლ... არის ამ მშენებლობის ვადებ... შესამცირებლად.

ამხანაგებმა იმუშავეს და შემ... იტანეს საინტერესო წინადადებ... ნი, რომლებიც დიდი ყურადღ... ბის ღირსია. სპეციალისტების ... მოანგარიშებამ ცხადყო, რომ, ... თბოსადგურთა და ჰიდროელ... ტროსადგურთა მშენებლობას... გამოიყენეს მარტო 25 პროცენტ... ასაწყობი რკინაბეტონი, ელ... ტროსადგურთა მშენებლობის ... პროგრამის განხორციელებ... დროს, რომელიც დასახულ... შვიდწლიანი გეგმით, მიღებ... იქნება 21 მილიარდი მან... ეკონომია და ჰიდროელექტრ... სადგურთა მშენებლობის ... შემცირდება ერთნახევარი-ო... წლით. მაშასადამე, ყოველ წელ... წადს შეიძლება ჰიდროელექტრ... სადგურთა მშენებლობის დრ... ასაწყობი რკინაბეტონის დან... ვით დავზოგოთ სულ ცოტა ს... მილ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დასასრული

წარმატებებს, რომლებიც აშენებენ სოციალიზმს თავიანთ ქვეყნებში. ჩვენი ქვეყნების შეკავშირება და მეგობრობა — ეს, ამხანაგებო, ისეთი დიადი ძალაა, რომელსაც ვერავინ და ვერასოდეს ვერ დაამარცხებს!

იმპერიალისტებს სურთ უკუღმა დაატრიალონ ისტორიის ჩარხი, თავს მოახვიონ თავიანთი ნება სხვა ხალხებს. ისინი აღვივებენ „ცივ ომს“, ახორციელებენ „ძალის პოზიციის“ აგრესიულ პოლიტიკას, „ომის ზღვრის“ პოლიტიკას. ამერიკის ინტერვენცია ლიბანში და ინგლისისა — იორდანიაში ამ პოლიტიკის ერთ-ერთი რგოლია.

მაგრამ წავიდა დრო, როცა კოლონიზატორებს შეეძლოთ დაუსჯელი გამგებლობა და ძალადობა კოლონიების ხალხების მიმართ. მათ უკვე აღარ შეუძლიათ კოლონიური მონობის უღელქვეშ ამყოფონ ხალხები, მით უფრო, რომ ამ ხალხებს თვალწინ აქვთ ჩინეთში, ინდოეთში, ინდონეზიასა და სხვა ქვეყნებში უკოლონიზატორებოდ თავისუფალი ცხოვრების მაგალითები.

კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების მხარეზეა საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის თანაგრძნობა და მხარდაჭერა. ეს ქვეყნები ისეთი მძლავრი ძალაა, რომელიც მარტო თავისი არსებობით წარმოადგენს კოლონიზატორთა აგრესიული მისწრაფებების შემაკავებელ ფაქტორს.

თქვენ იცით, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველმა წრეებმა უარყვეს ჩვენი წინადადება მოეწყოს მთავრობათა მეთაურების თათბირი იმ მდგომარეობის განსახილველად, რომელიც ახლო და შუა აღმოსავლეთში შეიქმნა ამერიკისა და ინგლისის ინტერვენციის შედეგად.

მოლაპარაკება თათბირის მოწვევის შესახებ მათ გამოიყენეს იმისათვის, რომ შეეკვსოთ თავიანთი ჯარები ლიბანსა და იორდანიაში. მსოფლიო საზოგადოებრიობის მრისხანე პროტესტმა, რომელმაც დაგმო იმპერიალისტური აგრესია, და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა მტკიცე გადაწყვეტილებამ ბოლო მოუღონ ამ აგრესიას აიძულეს სამხედრო ინტერვენციის ინიციატორები ხელი აეღოთ თავიანთ იმ პირვანდელ გეგმებზე, რომ თავს დასხმოდნენ ერაყის რესპუბლიკასა და არაბთა სხვა სახელმწიფოებს.

მაგრამ დედამიწის ამ რაიონში ომის საფრთხე კვლავ მეტად მწვავეა, და ჩვენ ვიყენებთ მთელ ჩვენს შესაძლებლობებს, რათა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ერთად მივაღწიოთ სამხედრო ინტერვენციის შეწყვეტას და ამერიკის და ინგლისის ჯარების გაყვანას ლიბანიდან და იორდანიიდან. არაბული აღმოსავლეთის ხალხები მთლიანად უნდა ახორციელებდნენ თავიანთ სუვერენულ უფლებას — ისე მოაწყონ თავიანთი ცხოვრება, როგორც მათ სურთ, გარეგან ვისმეს ჩაურევლად. **(ტაში).**

საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ყველა სოციალისტური ქვეყანა განუხრელად და თანმიმდევრულად ახორციელებენ მშვიდობის პოლიტიკას, სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას.

ჩვენ კვლავაც თანმიმდევრულად განვახორციელებთ ჩვენს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას. ამავე დროს ჩვენ ყოველ ღონისძიებას მივიღებთ იმისათვის, რომ ავლაგმოთ დასავლეთის ყველაზე აღვირახსნილი აგრესიული წრეები, ხელი შევუშალოთ მათ ახალი ომის გაჩაღებაში. ხოლო თუ ისინი საღ აზრს უგულებელყოფენ და ხალხებს თავს მოახვევენ ახალ დამანგრეველ ომს, ჩვენ ყველა სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსთან ერთად ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ გავანადგუროთ იმპერიალისტი აგრესორები და სამუდამოდ დავამყაროთ მშვიდობა დედამიწაზე. **(ხანგრძლივი ტაში).**

ძვირფასო ამხანაგებო! მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურს მიეკუთვნა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელი **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში)** და გადაწყდა ამიერიდან მას ეწოდებოდეს „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის ვოლგის ჰიდროელექტროსადგური“ **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).** ეს გამოხატავს საბჭოთა ხალხის მხურვალე სიყვარულს დიდი ლენინისადმი, ჩვენი მარსწავლებლისადმი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლისადმი. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

(შემდეგ ამ. ხრუშჩოვი აქვეყნებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებას კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებისადმი. მიტინგის მონაწილენი უდიდესი ყურადღებით ისმენენ ამ დოკუმენტს).

დიდება კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

დიდება საბჭოთა ხალხს — ურყევ მებრძოლსა და დიდ მშენებელს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების შთამაგონებელსა და ორგანიზატორს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

* * *

იმართება ოვაცია, როცა ნ. ს. ხრუშჩოვი აუწყებს დამსწრეთ მთავრობის გადაწყვეტილებას მიეკუთვნოს ჟიგულის ენერგეტიკულ გიგანტს ვ. ი. ლენინის სახელი და ამიერიდან სადგურს ეწოდებოდეს „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის ვოლგის ჰიდროელექტროსადგური“.

დამსწრენი ერთსულოვნად იღებენ კუიბიშევჰიდრომშენის კოლექტივის მისალმებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

მიტინგი დამთავრებულია. ჟიგულის მთებთან გაისმის პარტიული ჰიმნის „ინტერნაციონალის“ მელოდია.

ა. ბ. არისტოვმა, ლ. ი. ბრეჟნევმა, მ. ა. სუსლოვმა, ნ. ს. ხრუშჩოვმა და დ. ს. პოლიანსკიმ დაათვალიერეს ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგის ჰესის ჰიდროტექნიკური ნაგებობანი

ჟიგულევსკი (კუიბიშევის ოლქი), 10 აგვისტო. **(საკდესის სპეც. კორ.).** მშვენიერი მზიანი დილა დადგა ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგის ჰესის რაიონში. ათასობით მშენებელი გამოვიდა კომსომოლსკის, შლიუზოვის, პორტოვოისა და სხვა დაბების ქუჩებში. დღეს საზეიმო ვითარებაში ამუშავდება ვოლგის ახალი ენერგეტიკული გიგანტი. ყველა სიხარულს განიცდის.

დილის 10 საათზე ადგილობრივი დროით ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, დ. ს. პოლიანსკი, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ი. კუზმინი, ელექტროსადგურების მინისტრი ა. ს. პავლენკო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კუიბიშევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ტ. ეფრემოვი, ლენინის ორდენოსანი კუიბიშევჰიდრომშენის უფროსი ი. ვ. კომზინი და სხვები ჩავიდნენ ჰიდროკვანძის ქვემო რაბებზე. იწყება ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა დათვალიერება. ზუსტად და უნაკლოდ მოქმედებენ რაბების მექანიზმები და მოწყობილობა.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანამგზავრები ინტერესით უყურებენ რაბვას, ეცნობიან მართვის ავტომატიკას. ი. ვ. კომზინი უამბობს მათ, თუ რა სამუშაოები შესრულდა რაბების ასაგებად, უამბობს ადამიანებზე, რომლებმაც ეს რაბები ააშენეს.

განაგრძობენ რა დათვალიერებას, სტუმრები მანქანებით მიდიან ზედა რაბებისაკენ, რომლებიდანაც თბომავლები გადიან კუიბიშევის ზღვის ფართო სივრცეებში.

უდიდეს შთაბეჭდილებას ტოვებს რკინაბეტონის წყალსაშვები კაშხალი. ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანამგზავრები ჩადიან ჯებირზე კაშხალის ძირთან, საიდანაც ჩანს ნაგებობის მთელი პანორამა. შემდეგ სტუმრები ჩავიდნენ მოედანზე, სადაც ერთდებიან რკინაბეტონისა და მიწის კაშხალები. აქედან გადაშლილია საუცხოო ხედი კუიბიშევის ახალი ზღვისა, რომელიც ყველაზე დიდი ხელოვნური წყალსატევია დედამიწაზე. ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, რომ მომავალში კუიბიშევის ზღვის ნაპირებზე, ამ თვალწარმტაცი სილამაზის ადგილებში უნდა გაშენდეს მეტი ხეხილის ბაღები, უკეთ იქნას გამოყენებული მდიდარი ბუნებრივი პირობები.

აი ჰესის მონუმენტური შენობა. სამანქანო დარბაზში სტუმრებს ეგებება ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგის ჰესის დირექტორი ა. კ. რიაბოშაპკო და ჰესის მთავარი ინჟინერი მ. ა. სარქისოვი. ისინი დაწვრილებით ლაპარაკობენ უნიკალური ელექტრომანქანების ტექნიკურ მონაცემებზე, მათი ექსპლოატაციის თავისებურებებზე.

აქვე სამანქანო დარბაზში მოხდა ნ. ს. ხრუშჩოვის გულითადი შეხვედრა წარჩინებულ ელექტროშემდუღებელ ა. ა. ულესოვთან, რომელიც ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგის ჰესის მშენებლობაში მიღწეული განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატებისათვის დაჯილდოებულია „ნამგალი და ურო“ მეორე ოქროს medlით. ნ. ს. ხრუშჩოვი გადაეხვია და გადაკოცნა სახელგანთქმული მუშა.

ხუთ აგრეგატთან გაკეთებულია წითელი ლენტები. მე-17 მანქანასთან მიდის ნ. ს. ხრუშჩოვი. დამსწრეთა ტაშის გრიალში ჭრის იგი წითელ ლენტს და ასამუშავებელი სახელურის მობრუნებით რთავს აგრეგატს. კვლავ გაისმის ტაში, როცა სხვა ჰიდროაგრეგატებთან ლენტს ჭრიან და რთავენ მათ ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, მ. ა. სუსლოვი, დ. ს. პოლიანსკი.

სადგური ამუშავდა საზეიმო ვითარებაში.

მშენებლის ღღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები

მოსკოვი

მოსკოვის ათასობით მშენებელი შეიკრიბა 9 აგვისტოს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში. აქ მშენებლის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე მოვიდნენ ალტოზნები, დურგლები, მემონტაჟეები, მებეტონეები, მექანიზატორები, დამპროექტებლები — ისინი, ვინც ღირსეული წვლილი შეიტანა მოსკოვის რეკონსტრუქციაში.

კრება გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. ესტრინოვმა.

ტრიბუნაზეა მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხნის ზეინკალი პ. მალიუგინი. თავისი საწარმოს კოლექტივის სახელით მან მადლობა გადაუხადა მშენებლებს ახალი საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობებისათვის, რომლებსაც ისინი დედაქალაქის მშრომელებისათვის აშენებენ.

კრებაზე გამოვიდნენ: მოსკოვის პროფკავშირთა სახელით მოსკოვის საქალაქო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. კრესტიანინოვი, მოსკოვის კომკავშირელთა და ახალგაზრდობის სახელით — საკავშირო ალკაჟ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ვ. სტუკალინი.

შემდეგ გამოვიდა „მთავმოსმშენის“ № 17 „მოსმშენის“ ტრესტის სამუშაოთა მწარმოებელი სოციალისტური შრომის გმირი ი. ფადეევი, რომელმაც მადლობა გადაუხადა გამოსულ ამხანაგებს მისალმებისა და გულითადი სურვილებისათვის.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი. (საკდესი).

თბილისი

9 აგვისტოს თბილისში, ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში გაიმართა საზეიმო კრება, მიძღვნილი მშენებლის დღისადმი.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები გ. ქადაგიძე, მ. კუპავა, ზ. კვაჭაძე, კ. ციმაკურიძე, ო. გოცირიძე, მინისტრები, სამშენებლო ორგანიზაციების მოწინავე მუშები, ხელმძღვანელები.

კრება გახსნა მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. მეფარიშვილმა.

მოხსენება მშენებლის დღის და რესპუბლიკის მშენებელთა ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრმა ს. ლორთქიფანიძემ.

მშენებლებს მიესალმნენ და მხურვალედ მიულოცეს დღესასწაული საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა გ. ბრეგვაძემ, მთავართბილისმშენის № 10 სამშენებლო სამმართველოს უფროსმა ნ. ბალანჩივაძემ, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მელაძემ.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი. (საქდესი).

მშენებლობის მუშაკთა დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით

(დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 183).

მშენებლობასა და საშენ მასალათა მრეწველობის განვითარებაში მოპოვებული წარმატებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია ყველაზე გამოჩენილი მშენებლები, საშენ მასალათა მრეწველობის, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ორგანიზაციების მუშაკთა დიდი ჯგუფი.

საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაჯილდოვა:

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **ალანია** იონა ქრისტეფორეს-ძე — საქართველოს სოფლელექტრომშენის ტრესტის № 8 სამშენებლო-სამონტაჟო კანტორის მონტიორთა ბრიგადირი.

2. **ბახტაძე** ნიკოლოზ ისაკის-ძე — საქართველოს შახტების მშენებლობის ტრესტის ტყვარჩელის შახტების მშენებლობის სამმართველოს გვირაბგამყვანთა ბრიგადის ბრიგადირი.

3. **ბოჭორიშვილი** ჯიმშერ ალექსანდრეს-ძე — მთავართბილისმშენის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის მებეტონეთა ბრიგადირი.

4. **გვარამაშვილი** ნინო ივანეს ასული — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის საბინაო მშენებლობის სამმართველოს მუშა.

5. **ვაშაკიძე** ქეთევან ტარასის ასული — თბილისის კერამიკული კომბინატის საამქროს უფროსი.

6. **გეგეშიძე** გიორგი ანდრიას-ძე—საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

7. **გიგინეიშვილი** ავქსენტი ლავრენტის-ძე — კავკასიის ელექტროქსელის მშენებლობის ტრესტის მე-4 სამონტაჟო უბნის უფროსი.

8. **ღოლობერიძე** ვლადიმერ მიხეილის-ძე — საქართველოს სასურსათო საწარმოთა სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის № 8 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი.

9. **გოცაძე** ეკატერინე ივანეს ასული — ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს მებეტონე.

10. **ღუდუშაური** გიორგი დავითის-ძე — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატის მეარმატურე.

11. **გუმბერიძე** ვლადიმერ იროდიონის-ძე — სამგორის წყალთა მეურნეობის სამშენებლო ტრესტის მექანიზაციის კანტორის ექსკავატორის მემანქანე.

12. **ჯაფარიძე** ერმოლოზ მინას-ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგე.

13. **ჟურავსკი** გრიგოლ ავქსენტის-ძე —ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის სამშენებლო სამმართველოს უფროსი.

14. **ილიუშენკო** ანდრია აღექსანდრეს-ძე — რუსეთის სფსრ მშენებლობის სამინისტროს რუსთავის ფოლადის კონსტრუქციის სამმართველოს მემონტაჟეთა ბრიგადირი.

15. **ქართველიშვილი** გაბრიელ მიხეილის-ძე — მთავართბილისმშენის უფროსი.

16. **კახიძე** იბრაჰიმ კაბეკის-ძე — № 5 ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოს კალატოზი.

17. **ქუთათელაძე** თინა კონსტანტინეს ასული — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

18. **მაისაშვილი** ნიკოლოზ საველის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილთა მთავარი სამმართველოს № 11 გზის მშენებლობის რაიონის ზეინკალი.

19. **მღებრიშვილი** ირაკლი მიხეილის-ძე — სსრ კავშირის ელექტროსადგურთა სამინისტროს საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტის მმართველი.

20. **მორეტი** კარლ ვლადიმერის-ძე — № 4 ტრესტის მმართველი.

21. **ნეპრინცევი** მიხეილ ნიკოლოზის-ძე — თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის დოცენტი.

22. **ოლეინიკოვი** აღექსანდრე გრიგოლის-ძე — სსრ კავშირის ელექტროსადგურთა სამინისტროს საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტის ლაჯანურჰესმშენის მეგვირაბეთა ბრიგადირი.

23. **ონიაშვილი** ოთარ დავითის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტის კონსტრუქციათა განყოფილების გამგე.

24. **რობიტაშვილი** გიორგი ვლადიმერის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილთა მთავარი სამმართველოს უფროსი.

25. **ხაჩანიშვილი** აღექსანდრე იაკობის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილთა მთავარი სამმართველოს № 4 გზის მშენებლობის მთავარი ინჟინერი.

26. **უშვერიძე** გიორგი მიტროფანეს-ძე — სსრ კავშირის ელექტროსადგურთა სამინისტროს ჰიდროენერგოპროექტის თბილისის განყოფილების საპროექტო სექტორის უფროსი.

27. **ხოსროშვილი** რევაზ მიხეილის-ძე—საქართველოს სასურსათო საწარმოთა სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის № 7 სამშენებლო სამმართველოს კალატოზთა ბრიგადირი.

28. **ცატროვი** აღექსანდრე ტიგრანის-ძე — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის უფროსი.

29. **ჩოგოვაძე** გიორგი ირაკლის-ძე — საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე.

30. **ჩხეიძე** ვარლამ პავლეს-ძე — საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს ტექნიკური განყოფილების უფროსი.

31. **შუკაიძე** ანდრია ივანეს-ძე — ჭიათურის მარგანეცის მშენებლობის ტრესტის ჭიათურის მშენებლობის სამმართველოს უფროსი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. **აბულაძე** ვლადიმერ დავითის-ძე — მთავართბილისმშენის ხის დასამუშავებელი კომბინატის დურგალი.

2. **ბერუხაშვილი** ივანე აღექსანდრეს-ძე სსრ კავშირის ელექტროსადგურთა სამინისტროს საქართველოს ჰიდროენერგომშენებლობის ტრესტის ექსკავატორის მემანქანე.

3. **ბუბლიკი** ვასილ მიხეილის-ძე—რუსეთის სფსრ მშენებლობის სამინისტროს კავკასიის სანტარულ-ტექნიკური სამონტაჟო ტრესტის რუსთავის სამონტაჟო სამმართველოს ზეინკალთა ბრიგადირი.

4. **ვორონოვი** ვასილ თევდორეს-ძე—კაპიტალური მშენებლობის განყოფილების მებათქაშე.

5. **გაზაევი** ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე—საბჭრეთ ოსეთის სამშენებლო-სამმართველოს კალატოზი.

6. **გალდავაძე** მიხეილ სტეფანეს-ძე—სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის მე-3 სამშენებლო უბნის უფროსი.

7. **გალუსტოვი** აღექსი ირაკლის-ძე — სსრ კავშირის ელექტროსადგურთა სამინისტროს საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტის ქალაქ ბინათმშენებლობის სამმართველოს ხუროთა ბრიგადირი.

8. **გარდაფხაძე** შალვა ლევანის-ძე — საქართველოს შახტების მშენებლობის ტრესტის მმართველი.

9. **გვანცელაძე** მარგალიტა ილარიონის ასული — ქალაქის მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის საკონსტრუქტორო სექტორის უფროსი.

10. **გოშაძე** გივი სიმონის-ძე — № 4 ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს კალატოზი.

11. **გრიგოლაშვილი** ოთარ დავითის-ძე— საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის მებეტონეთა ბრიგადირი.

12. **ეფიმოვა** ტაისა ვალენტინის ასული — სამტრედიის აგურის ქარხნის საშრობი ვაგონეტების ჩამტვირთავი მუშა.

13. **ინგოროყვა** ილია გიორგის-ძე — საბურთალოს აგურის ქარხნის დირექტორი.

14. **ისაკოვი** ანდრია ნიკოლოზის-ძე— სსრ კავშირის ელექტროსადგურთა სამინისტროს კავკასიის ენერგომშენის ტრესტის ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლობის სამმართველოს ხუროთა ბრიგადირი.

15. **კენკიშვილი** მირიან ილიას-ძე — მთავართბილისმშენის № 2 სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

16. **კიკოშვილი** ფაქიზა აბელის ასული— საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამოქალაქო ბინათმშენებლობის განყოფილების უფროსი ინჟინერი.

17. **კინწურაშვილი** თეოდორე სიმონის-ძე — საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსი.

18. **კირვალიძე** თამარ გრიგოლის ასული — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველოს მუშა.

19. **ჭიტოშვილი** ნიკოლოზ იასონის-ძე— ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის სარემონტო-მექანიკური ქარხნის მჭედელი.

20. **კოდუა** ბორის იასონის-ძე — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის საქალაქო მშენებლობის სამმართველოს სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი.

21. **კოპალიანი** ვლადიმერ რომანოზის-ძე — № 6 ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს ხუროთ.

22. **კოჩმაზოვი** ვლადიმერ შალიმის-ძე—სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ხიდების ტრესტის № 61 მშენებლობის ხუროთ.

23. **კოშაძე** აღექსანდრე დიმიტრის-ძე—— ჭიათურის მარგანეცის მშენებლობის ტრესტის ჭიათურის მშენებლობის სამმართველოს მებეტონე.

24. **კუზმინა** პრასკოვია გიორგის ასული — საქართველოს სასურსათო საწარმოთა სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის № 2 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მებეტონე.

25. **ქუთათელაძე** აკაკი მიხეილის-ძე— ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მშენებლობის ავტობაზის შოფერი.

26. **ლორთქიფანიძე** ბეჟან ვლადიმერის-ძე— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსი.

27. **მაზანაშვილი** შოთა ივანეს-ძე — მთავართბილისმშენის თბილისის ელექტრომონტაჟის სამმართველოს ელექტრომონტიორი.

28. **მარგებაძე** ივანე მიხეილის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილთა მთავარი სამმართველოს № 5 გზის სამშენებლო რაიონის ბულდოზერის მემანქანე.

29. **მეზენცევა** ლიდია ნიკანორის ასული — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მშენებლობის სამმართველოს მღებავი.

30. **ობოლაძე** გრუზო ივანეს-ძე — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს სამმართველოს № 2 შახტის გვირაბგამყვანთა ბრიგადის ბრიგადირი.

31. **ომერიძე** ნადეჟდა ფილიმონის ასული — მთავართბილისმშენის № 6 სამშენებლო სამმართველოს მებეტონეთა ბრიგადირი.

32. **ფოცხიშვილი** მიხეილ ვალერიანის-ძე — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის სამშენებლო მექანიზაციის სამმართველოს ექსკავატორის მემანქანე.

33. **ხანაძე** ნიკოლოზ ლუკას-ძე — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი.

34. **ხანდუხაძე** ვარლამ ივლიანეს-ძე — საქართველოს შახტების მშენებლობის ტრესტის ტყიბულის სანტარულ-ტექნიკური სამონტაჟო უბნის ზეინკალი-მემონტაჟე.

35. **ხვანშვილი** ნიკოლოზ ვასილის-ძე — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს კავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის მთავარი ინჟინერი.

36. **თაბორიძე** თამარ ზაქარიას ასული — მეტეხის აგურის ქარხნის საყალიბო საამქროს ალიზის ჩამტვირთავი.

37. **ტორონჯაძე** გიორგი ილარიონის-ძე — კოლხეთმშენის სამშენებლო სამმართველოს მეჯოდელი.

38. **ხუციშვილი** აღექსი ივანეს-ძე — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ხიდების ტრესტის № 454 ხიდსაშენებელი მატარებლის ზეინკალი.

39. **ცქიფურიშვილი** კარლო გალაქტიონის-ძე — სსრ კავშირის ელექტროსადგურთა სამინისტროს კავკასიის ელექტროქსელის სამშენებლო ტრესტის № 8 მექანიზებული კოლონის ელექტრომონტაჟის სამუშაოთა ოსტატი.

40. **ჩუტი** პეტრე გრიგოლის-ძე — სსრ კავშირის ელექტროსადგურთა სამინისტროს საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტის სამოქალაქო ბინათმშენებლობის სამმართველოს მებათქაშე.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. **აფცაური** ნიკოლოზ ლაზარეს-ძე — თბილისის ქვის დასამუშავებელი კომბინატის დამბერხავი.

2. **არველაძე** გიორგი დავითის-ძე — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 7 სამშენებლო უბნის ხუროთ.

3. **ბუჯიაშვილი** გიორგი რევაზის-ძე — სსრ კავშირის ელექტროსადგურთა სამინისტროს საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტის სიონის წყალსაცავის მშენებლობის მებეტონე.

4. **დანჩენკო** ევდოკია სტეფანეს ასული — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ტრანსპორტის სპეციალური მშენებლობის სამმართველოს მეასფალტე.

5. **ჯაფარიძე** ივანე ივანეს-ძე — საქართველოს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის სამთო განყოფილების მთავარი ინჟინერი.

6. **ეფანოვა** ვალენტინა ნიკიტას ასული — რუსეთის სფსრ მშენებლობის სამინისტროს მეტალურგიის გაქარავანების ტრესტის რუსთავის მექანიკურ-სამონტაჟო სამმართველოს ელექტროშემდუღებელი.

7. **ზურელიდი** ხარლამპი ელეფთერის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს უფროსი.

8. **კანკაძე** პაპუა ავქსენტის-ძე — საქართველოს შახტების მშენებლობის ტრესტის ტყიბულის შახტების მშენებლობის სამმართველოს გვირაბგამყვანთა ბრიგადის ბრიგადირი.

9. **კაფიაშვილი** ვლადიმერ ივანეს-ძე — საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს თბილისის სამშენებლო სამმართველოს მეარმატურე.

10. **ნიაზაშვილი** ასლან დარჩოს-ძე — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ავტოსატრანსპორტო კანტორის შოფერი.

11. **ტიმოშენკო** ივანე დიმიტრის-ძე — რუსეთის სფსრ მშენებლობის სამინისტროს საკავშირო თბომშენის სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის თბილისის სამმართველოს მეცეცხლგამძლეთა ბრიგადირი.

12. **ჩიბურდანიძე** ვლადიმერ იაკობის-ძე — მთავართბილისმშენის № 3 სამშენებლო სამმართველოს კალატოზი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. **ბოგუშევსკაია** ნადეჟდა დიმიტრის ასული — სსრ კავშირის ელექტროსადგურთა სამინისტროს საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტის ლაჯანურჰესმშენის ელმავლის მემანქანე.

2. **ვაჩიბერიძე** გივი კაპიტონის-ძე — სსრ კავშირის ელექტროსადგურთა მშენებლობის სამინისტროს საქართველოს ჰიდროელექტრომშენის ტრესტის თალაძგიან ქსელთა მშენებლობის სამმართველოს ელექტრომონტიორი.

3. **გიგაშვილი** გივი ნიკოლოზის-ძე — გუმათის ჰესების სამშენებლო სამმართველოს მეამწეთა ბრიგადირი.

4. **ყანჩაველი** ანდრია ილიას-ძე — რუსეთის სფსრ მშენებლობის სამინისტროს კავკასიის ელექტრომონტაჟის თბილისის სამონტაჟო სამმართველოს ზეინკალი.

5. **კაპანაძე** ვლადიმერ პავლეს-ძე — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს თბილისის ბეტონის ქარხნის ოსტატი.

6. **კომპანეიცი** ელენე ნიკიტას ასული — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ხის დასამუშავებელი კომბინატის მეჩარხე.

7. **ლუნგა** მარიამ ლევანის ასული — ჭიათურის მარგანეცის მშენებლობის ტრესტის საშენ მასალათა კომბინატის მოტორისტი.

8. **მათეშვილი** გიორგი თომას-ძე — სტალინის სახელობის კასპის ცემენტის ქარხნის პარტბიუროს მდივანი.

9. **ხარდლიშვილი** ბეჟან გაბრიელის-ძე — სსრ კავშირის ელექტროსადგურთა სამინისტროს კავკასიის ელექტროქსელის მშენებლობის ტრესტის მე-4 სამონტაჟო უბნის მებეტონე.

10. **ხუხაშვილი** არჩილ ივანეს-ძე — რუსეთის სფსრ მშენებლობის სამინისტროს საკავშირო სამრეწველო მექანიზაციის ტრესტის ამიერკავკასიის სამონტაჟო სამმართველოს სადონის სამონტაჟო უბნის ზეინკალთა ბრიგადირი.

11. **უდალოვი** ნიკოლოზ მიხეილის-ძე — მთავართბილისმშენის № 10 სამშენებლო სამმართველოს მეპარკეტეთა ბრიგადირი.

12. **შავიშვილი** გიორგი პლატონის-ძე — ამიერკავკასიის მეტალურგ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურ სესიაზე 8 აგვისტოს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა განაცხადა:

ხმას აძლევს რა იმას, რომ დამტკიცდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე საგანგებო სპეციალური სესიის დღის წესრიგი, საბჭოთა დელეგაცია იქიდან გამომდინარეობს, რომ ამ სესიის მთავარი ამოცანაა ეფექტიანი ღონისძიებანი განახორციელოს საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად და ომის საფრთხის აღსაკვეთად, რომელიც შექმნა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის აგრესიულმა მოქმედებამ ახლო და შუა აღმოსავლეთში.

გენერალურმა ასამბლეამ უნდა მიაღწიოს იმას, რომ რაც შეიძლება მალე და სავსებით შეწყდეს შეიარაღებული ინტერვენცია ახლო და შუა აღმოსავლეთში და იქ შეიქმნას პირობები, რომლებიც ამ რაიონის ხალხებს იხსნიან უცხოელთა ჩარევისაგან მათ საშინაო საქმეებში. პირველ რიგში უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა გადაუდებლად გამოიყვანონ ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები ლიბანიდან და ინგლისის ჯარები იორდანიიდან, რადგან მათი იქ ყოფნა მუდმივი საფრთხეა მშვიდობისა და ხალხთა დამოუკიდებლობისათვის. მათი იქ ყოფნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების აშკარა დარღვევაა, რასაც ვერ შეურიგდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ვერც ერთი სახელმწიფო.

როგორც ცნობილია, უშიშროების საბჭომ მისი ახლანდელი შემადგენლობისა და იმ პოლიტიკის გამო, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ უშიშროების საბჭოს მიმართ, ვერ შეძლო ქმედითი ღონისძიებანი განეხორციელებინა, რათა ჩანასახშივე ჩაეკრო ომის მზარდი კონფლიქტი არაბულ აღმოსავლეთში. ამით უშიშროების საბჭომ ვერ შეასრულა ვალდებულებანი, რომლებსაც მას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება აკისრებს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების დასაცავად.

ამ პირობებში გენერალურმა ასამბლეამ, რომელშიც წარმოდგენილი არიან როგორც დიდი, ისე პატარა სახელმწიფოები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებისა და მიზნების შესაბამისად უნდა გადაჭრას საკითხი იმის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ გაიყვანონ ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები ლიბანიდან და ინგლისის ჯარები იორდანიიდან. ეს ხელს შეუწყობს სამხედრო კონფლიქტის გაფართოების რეალური საფრთხის ლიკვიდაციას და ამით სიმშვიდეს შეიტანს ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში და შეანელებს დაძაბულობას მთელ მსოფლიოში.

საბჭოთა დელეგაცია იმედს გამოთქვამს, რომ გენერალური ასამბლეის მესამე საგანგებო სპეციალური სესიის მოქმედებასა და გადაწყვეტილებებს მოჰყვება საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, მშვიდობის განმტკიცება, ახალი მსოფლიო ომის საფრთხის აღკვეთა. უნდა აღიკვეთოს აგრესია არაბული აღმოსავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ. მშვიდობამ უნდა გაიმარჯვოს.

შემდეგ გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი ლოჯი. მან სესიის მონაწილეთ მოუწოდა „თავიდან აიცილონ ერთმანეთისათვის ბრალის დადება“ და შეუდგნენ „კონსტრუქციულ გადაწყვეტილებათა“ ძიებას. ამერიკის დელეგატის გამოსვლა გაისმა როგორც მოწოდება იმისადმი, რომ არ შეებონ ამერიკის ჯარების ყოფნას ლიბანში, თუმცა სავსებით აშკარაა, რომ არ შეიძლება გამოინახოს რაიმე ნამდვილად კონსტრუქციული გადაწყვეტილება, თუ დაუყოვნებლივ არ გაიყვანენ ამერიკისა და ინგლისის ჯარებს ლიბანიდან და იორდანიიდან.

სესიის სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ჰამარშელდი. სესიას, განაცხადა მან, აქვს კონკრეტული დღის წესრიგი, რომელიც ეხება ახლო და შუა აღმოსავლეთის მდგომარეობას, რაც ცოტა ხნის წინათ შეიქმნა ამ რაიონში. მაგრამ გენერალური მდივნის აზრით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო სესიამ ახლო და შუა აღმოსავლეთის პრობლემები უნდა განიხილოს უფრო ფართო ასპექტით.

ჰამარშელდმა ჩამოთვალა მთელი რიგი ისეთი პრობლემები, რომლებსაც, მისი აზრით, ესაჭიროება დაუყოვნებლივ განხილვა და გადაჭრა. ამ პრობლემებს შორის გენერალურმა მდივანმა, კერძოდ, დაასახელა საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვადასხვა ორგანოთა შემდგომი მოქმედების შესახებ, რომლებიც ამ რაიონშია, საკითხი ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ეკონომიური და ტექნიკური დახმარების გაწევისა და მათსა და მსოფლიოს სხვა რაიონების ქვეყნებს შორის თანამშრომლობის შესახებ.

თავმჯდომარის წინადადებით სესია არ შესდგომია იმ საკითხის არსის განხილვას, რომელიც აღნიშნულია დღის წესრიგში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის შემდეგი სხდომა გაიმართება 13 აგვისტოს. (საკდესი).

ინდოეთის პროგესი პაკისტანის ჯარების პროვოკაციის წინააღმდეგ

დელი, 9 აგვისტო. (საკდესი). პრესის ცნობით, ინდოეთის მთავრობამ პაკისტანის მთავრობას გაუგზავნა პროტესტის ნოტა პაკისტანის ჯარების პროვოკაციის წინააღმდეგ ინდოეთის ასამის შტატსა და აღმოსავლეთ პაკისტანს შორის საზღვარზე მდინარე სურმას რაიონში. ინდოეთის მთავრობა მოითხოვს პაკისტანის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას, რომლებმაც მოახდინეს ინდოეთის ტერიტორიის ოკუპაცია, და მიყენებული ზარალის კომპენსაციას.

ამერიკის წყალქვეშა ნავის „ნაუტილუსის“ რეისი

ვაშინგტონი, 9 აგვისტო. (საკდესი). ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ატომის ძრავიანმა ამერიკის პირველმა წყალქვეშა ნავმა „ნაუტილუსმა“ დატვირთულმა გაიარა ყინულ ქვეშ ჩრდილოეთ პოლუსის რაიონი, მოაწყო რა ლაშქრობა ბერინგის ზღვიდან გრენლანდის ზღვაში.

„ნაუტილუსის“ რეისი 22 ივლისიდან 5 აგვისტომდე გაგრძელდა.

ნიუ-იორკი, 9 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის პრესამ ხმაური ატეხა წყალქვეშა ნავის „ნაუტილუსის“ გადასვლის გარშემო. კერძოდ, გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსს“ ეს გადასვლა იმის მაჩვენებლად მიაჩნია, რომ „შესაძლოა ჩრდილოეთი ყინულოვანი ოკეანე გამოიყენონ სამხედრო მიზნით“.

ეს ხმაური დაემთხვა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბიუჯეტის დამტკიცების საბოლოო სტადიებს და მას აქვს ამერიკის საზღვაო-სამხედრო ფლოტისათვის სულ უფრო მეტი სახსრების გამოყოფის სასარგებლოდ სარეკლამო კამპანიის ხასიათი.

საუდის არაბეთის პრემიერ-მინისტრის განცხადება

კაირო, 9 აგვისტო. (საკდესი). საუდის არაბეთის პრემიერ-მინისტრმა და მემკვიდრე პრინცმა ემირმა ფეისალმა განაცხადა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტის მარშალ აბდელ ჰაკიმ ამერის ვიზიტს საუდის არაბეთში „ძალიან კარგი შედეგები ჰქონდა, რომლებიც დიდ სარგებლობას მოუტანს არაბთა საქმეს“.

ეს განცხადება, წერს გაზეთი „ალ-აჰბარი“, გაკეთებულია დეპეშით, რომელიც ემირმა ფეისალმა გაუგზავნა საუდის არაბეთის ელჩს კაიროში შეიხს იბრაჰიმ სულეიმანს.

ინდოეთის ელჩი ლონდონში

ლონდონი, 9 აგვისტო. (საკდესი). ინდოეთის ელჩად ლონდონში, ინდოეთის ეროვნული ბანკის ყოფილ მმართველ ბ. ნ. ბანერჯეა, ინდოეთის ელჩი ვაშინგტონიდან, ინდოეთის ელჩად ბონში, ინდოეთის ელჩი ბონიდან, ინდოეთის ელჩად ბელგრადში, ინდოეთის ელჩი ბელგრადიდან.

პაგიმარ კვიპროსელთა შიმშილობა

პარიზი, 9 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი ნიკოზიიდან იუწყება, 250 კვიპროსელმა ბერძენმა, რომლებიც ლიმასოლს საკონცენტრაციო ბანაკებში არიან, გუშინ შიმშილობა გამოაცხადეს იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ ინგლისის დაცვა უხეშად მოეპყრო პატიმარ პლატონ სტელიანს, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია.

უცხოელ ხუროთმოძღვართა შთაგეჭდილებები

— ჩემთვის დიდად სასიხარულო იყო, რომ დავათვალიერე სტალინგრადი, რომელიც მეგობრული გრძნობებით არის დაკავშირებული კოვენტრისთან. ქალაქის ხუროთმოძღვრებთან შეხვედრისას ჩვენ ერთმანეთს ვესაუბრეთ ომის დროს ყველაზე მეტად დაზარალებული საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ამ ორი ქალაქის კეთილმოწყობის მიზნით გაწეული მუშაობის შესახებ.

მე ვესაუბრე სტალინგრადის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეს დინკინს, რომელმაც ძალიან საინტერესო წინადადება წამოაყენა. ეს წინადადება იმაში მდგომარეობს, რომ კოვენტრის არქიტექტორებმა დააპროექტონ რამდენიმე სახლი სტალინგრადისთვის, ხოლო სტალინგრადელმა ხუროთმოძღვრებმა — კოვენტრისათვის.

ჩემი მხრივ მე შევთავაზე, რომ ჩვენი ორი ქალაქის არქიტექტორებმა ერთად გამოსცენ ფოტოალბომი, რომელიც გვიჩვენებდა, თუ როგორ აღდგენენ კოვენტრი და სტალინგრადი მეორე მსოფლიო ომის ნანგრევებიდან. ვფიქრობ, ასეთი ალბომი გამოიცემა და კარგი წვლილი იქნება ამ ორი ქალაქის მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

მე მინახავს დანგრეული სტალინგრადის სურათები, და ის, რაც ახლა ჩემი თვალით ვნახე, თითქმის წარმოუდგენელია. სტალინგრადის მშენებლებს შეუძლიათ იამაყონ თავიანთი საქმეებით: მათ განსაცვიფრებელი პროგრესისათვის მიუღწევიათ, ქალაქის არქიტექტურას უმრავლეს შემთხვევაში კლასიკური ხასიათი აქვს, ის ბინები, რომლებიც მე დავათვალიერე, დიდად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებენ თავიანთი სისადავითა და კეთილმოწყობით. ძალიან მესიამოვნა ამდენი ხისა და ყვავილის ნახვა სტალინგრადში. განსაკუთრებით თვალში მომხვდა მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგური. განმაცვიფრა ამ ჰიდრონაგებობის მშენებელი საბჭოთა ადამიანების გიგანტურმა შრომამ. ძალიან მომეწონა აგრეთვე ახალგაზრდა ქალაქი ვოლუსკი. იქ ყურადღებას იპყრობს ხეებით გარემოცული სამსართულიანი სახლები და კარგი სტადიონი.

> არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის მეხუთე კონგრესის დამთავრების შემდეგ ბევრმა მისმა მონაწილემ იმოგზაურა საბჭოთა კავშირის მთელ რიგ ქალაქებში. ქალაქ კოვენტრის (ინგლისი) მთავარმა არქიტექტორმა არტურ ლინგმა „პრავდის“ კორესპონდენტთან საუბარში ილაპარაკა საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებებზე.

სოჭში ვნახე დიდებული სანატორიუმები, როგორიც ჩვენში, ინგლისში, არ არის. მშვენიერია კურორტი გაგრა. თბილისში ყოფნის დროს ჩემი ყურადღება მიიქცია იმ დიდმა სამუშაოებმა, რომლებიც ქალაქის გარშემო მიწების წყლით უზრუნველყოფის მიზნით წარმოებს, მათ შორის ხელოვნური ტბების მშენებლობამ. სასიამოვნოა ის ზრუნვა, რომელსაც იჩენენ ლენინგრადში არქიტექტურული ძეგლებისა და ძველ ნაგებობათა დაცვისათვის.

მაგონდება ჩემი პირველი ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში ცხრამეტი წლის წინათ. მაშინ ყველა არქიტექტურული და სამშენებლო გეგმა ჯერ კიდევ ქაღალდზე, ნახაზებში იყო. ახლა ისინი უკვე განხორციელებულია. ვხედავ, რომ საბჭოთა კავშირი აყვავებულია. ადამიანები კარგად ცხოვრობენ, უფრო ბედნიერად გამოიყურებიან, ვიდრე ეს ომის წინ შევამჩნიე. ყველგან, სადაც კი წახვალ, ახალი სახლები შენდება. რასაკვირველია, ხუროთმოძღვრებს შეუძლიათ გააკრიტიკონ ისინი არქიტექტურის თვალსაზრისით. მაგრამ რა არის ეს კრიტიკა თვით ამ მშენებლობის გაქანებასთან, საცხოვრებელი ფართობის იმ დიდ რაოდენობასთან შედარებით, რომელსაც საბჭოთა ხალხი იღებს.

„პრავდა“, 10 აგვისტო.

სარეტრანსლაციო სადგური ბოლნისში

კვირას, 10 აგვისტოს, ბოლნისში გაიხსნა სარეტრანსლაციო სადგური. ამიერიდან ბოლნისისა და მეზობელი რაიონების სოფლის მშრომელებს საშუალება აქვთ ნახონ თბილისის ტელეგადაცემები.

სადგური მოკლე ვადებში აშენდა. მას აქვს მომდები და გადამცემი ანძები, რომელთა სიმაღლე 37 მეტრს შეადგენს. მიღების რადიუსია 25 კილომეტრი. სადგურში დამონტაჟებულია უახლესი აპარატურა.

სადგურის გახსნასთან დაკავშირებით გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ ბოლნისის, მარნეულის, დმანისის რაიონების მშრომელთა წარმომადგენლები. მიტინგი გახსნა ბოლნისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მამედოვმა, სიტყვებით გამოვიდნენ: ბოლნისის სადაბო საბჭოს თავმჯდომარე ჯ. რეხვიაშვილი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენტი შ. მამედოვა, კულტურის განყოფილების გამგე შ. ფანცური, სკკპ წევრი 1917 წლიდან დ. როსსაძე.

შეკრებილთ საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრმა გ. ქრისტესაშვილმა მიულოცა კულტურის გავრცელების ახალი კერის დამთავრება, ხაზგასმით აღნიშნა ამ საქმეში ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანოებისა და რაიონის მშრომელთა დამსახურება.

რესპუბლიკაში ეს უკვე მეორე სარეტრანსლაციო სადგურია. პირველი სადგური ამას წინათ გაიხსნა გორში.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მითითებით ბოლნისის რაიონში გასაგზავნად უკვე გამოყოფილია 40 ცალი ტელევიზორი „რეკორდი“.



გაიხსნა სარეტრანსლაციო სადგური ბოლნისში. **სურათზე:** ტექნიკოს ვ. პოპოვს მიჰყავს გადაცემა თბილისიდან.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

მოსწავლეთა V სპარტაკიადა

10 აგვისტოდან თბილისის ხასპორტო ბაზებზე დაიწყო შეჯიბრება მოსწავლეთა V საბაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის 4 სახეობაში — ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთსა და წყალბურთში.

ეს ახალგაზრდობები წინასწარი შეხვედრებია. მოსკოვისა და ლენინგრადის, შრომითი რეზერვებისა და გზათა სამინისტროს სკოლების, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრები გუნდები ქვეჯგუფებში იბრძვიან დასკვნით შეხვედრებში მონაწილეობისათვის.

დამთავრდა შეჯიბრება ქვეჯგუფებში ჩოგბურთელთა კოლექტივებისათვის. გუშინ დილით გაიმართა დასკვნითი ასპარეზობის პირველი შეხვედრები. გოგონათა გუნდების შეჯიბრების შედეგები ასეთია: მოსკოვი — რსფსრ 7:0, ესტონეთი — ბელორუსია 7:0, საქართველო — სომხეთი 6:1.

ორი დღეა მიმდინარეობს შეჯიბრება ფეხბურთში. ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა შრომითი რეზერვებისა და მოლდავეთის გუნდების მატჩი, სადაც გაიმარჯვეს შრომითი რეზერვების ფეხბურთელებმა ანგარიშით 10:0. უზბეკეთის გუნდი დამარცხდა სომხეთის ფეხბურთელებთან შეხვედრაში 0 : 1.

საქართველოს კალათბურთელ გოგონათა გუნდი პირველ დღეს შეხვდა უზბეკეთის სპორტსმენთა კოლექტივს. ეს შეხვედრა საინტერესო ბრძოლის შემდეგ მოიგეს ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა 41:35.

გუშინ დილით შედგა კალათბურთელ გოგონათა 2 მატჩი, რომელთა შედეგები ასეთია: უზბეკეთი — ბელორუსია 36:46, ყაზახეთი — გზათა სამინისტროს გუნდი 38:46.

წყალბურთელთა გუნდებმა პირველი დღის მატჩები ასე დაამთავრეს: გზათა სამინისტროს გუნდი — ტაჯიკეთი 9:0, მოლდავეთი — თურქმენეთი 7:6, ლიტვა — რსფსრ 0:11, ლატვია — ესტონეთი 4:2, ყაზახეთი — აზერბაიჯანი 1:17, ყირგიზეთი — სომხეთი 1:12.

გუშინ გრძელდებოდა აგრეთვე ფრენბურთელთა შეჯიბრება. მორიგ მატჩებში გაიმარჯვეს ყაზახეთის, მოსკოვისა და შრომითი რეზერვების გოგონათა და უკრაინისა და აზერბაიჯანის ჯაბუკთა გუნდებმა.

* * *

სურათზე: საქართველოსა და უზბეკეთის კალათბურთელ გოგონათა ნაკრები გუნდების შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ო. არობელიძისა.

დინამოელთა სპარტაკიადა

მოსკოვის სასპორტო ბაზებზე გრძელდება „დინამოს“ საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება, მიძღვნილი ამავე სასპორტო საზოგადოების 35 წლისთავისადმი.

ამ შეხვედრებში ერთმანეთს პირველობას ეცილებიან ჩვენი ქვეყნის მოწინავე სპორტსმენები, რომელთა შორის არიან სსრ კავშირისა და მსოფლიო რეკორდსმენები, ახალგაზრდა ოსტატები.

ასპარეზობებში წარმატებით გამოდიან ჩვენი რესპუბლიკის დინამოელები. შავლაყაძემ სიმაღლეზე ხტომაში აჩვენა 2 მეტრი და 5 სანტიმეტრი და პირველი ადგილი დაიკავა. ღუმბაძემ ბაღრო ტყორცნა 46 მეტრსა და 55 სანტიმეტრზე. 200 მეტრზე თარჯრბენში დიაჩკოვმა აჩვენა დრო — 25,2 წამი და საზოგადოება „დინამოს“ რეკორდი დაამყარა ჭაბუკთა შორის. ბლიაძემ ბირთვის კვრაში საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა, რაც 15 მეტრსა და 64 სანტიმეტრს უდრის.

საქართველოს მოჭიდავეები სიმონშვილი (ქვემსუბუქი წონა) და ქარქუსაშვილი (ქვემძიმე წონა) ჩემპიონები გახდნენ ჭიდაობა სამბოში.

საინტერესოდ წარიმართა წყალბურთელთა ასპარეზობა თბილისისა და ლვოვის „დინამოს“ გუნდებს შორის. გიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით 4 : 2. მოსკოვისა და თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა შეჯიბრება ძნელი ბრძოლის შემდეგ დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით 80 : 78.

გუნდურ ჩათვლაში წინ არის დედაქალაქის სპორტსმენთა კოლექტივი.

დღეს გაიმართება უკანასკნელი შეხვედრები.

სსრ კავშირის პირველობაზე

მოსკოვი. 10 აგვისტო. დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მატჩი ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. თამაშობდნენ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბისა და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდები. შეჯიბრება ხასიათდებოდა საინტერესო ბრძოლით და დამთავრდა ფრედ 2 : 2.

სტალინო. 10 აგვისტო. კოშინოვის „მოლდოვას“ ფეხბურთელთა კოლექტივმა XX ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა გამართა სტალინოში ადგილობრივ „შახტიორთან“. გიმარჯვა „შახტიორმა“ ანგარიშით 1 : 0.

რედაქტორი პ. რატიანი.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო

თეატრი

1958 წლის 14 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე

სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის

გასტროლები

რეპერტუარი:

მ. გლინკა — ივანე სუსანინი

ვ. მოცარტი — ფიგაროს ქორწინება

ა. ბოროდინი — თავადი იგორი

პ. ჩაიკოვსკი — გედის ტბა

ჟ. მასნე — ვერთერი

სიმფონიური კონცერტი — ბეთოვენი — ლეონორა № 3, მე-9 სიმფონია.

სპექტაკლების დასაწყისი: დღისით — 12 საათზე, საღამოს — 8 საათზე.

მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან გამოსვლას იწყებს რსფსრ მხატვართა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის ყოველთვიური ჟურნალი

«Художник».

ჟურნალი მდიდრულად იქნება ილუსტრირებული მსოფლიო და რუსული საბჭოთა ხელოვნების ნაწარმოებთა რეპროდუქციებით.

ჟურნალი განკუთვნილია მხატვრებისათვის, მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეებისა და მუზეუმებში მომუშავე სახალხო ხელოვნების ოსტატებისათვის, აგრეთვე — მკითხველთა ფართო წრეებისათვის.

ჟურნალი ოქტომბრიდან წლის ბოლომდე ხელმოწერით ღირს 36 მანეთი.

„სოიუზპეჩატი“.

დღეს

ფილარმონიის საზაფხულო თეატრი — ღამურა (ოდესის მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლი, 8 ს. 30 წ.).

კინოთეატრებში

ფილარმონიის ბაღი, ამირანი (საზამთრო), ისანი (საზამთრო), სპარტაკი, პლეხანოვის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი — როცა გრძნობა იმარჯვებს გონებაზე, ოქტომბერი (საზამთრო), ამირანი (საზაფხულო), თბილისი, საქართველო (წითელი დარბაზი), ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, კიროვის სახელობის პარკი — მისტერ იქსი, კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), საქართველო (მწვანე დარბაზი), კოლმეურნეობა (საზამთრო), ვაკის პარკი — ძალა მძღოლი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), გორკის სახელობის ცენტრალური კულტურის სახლი (საზაფხულო) — ივანე მრისხანე, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — მე შეეხვდი ქალიშვილს, საქართველო (საზაფხულო), ისანი (საზაფხულო) — 1918 წელი (დები, II სერია), კოლმეურნეობა (საზაფხულო) — ქალიშვილი უმანკო მართოდ, პლეხანოვის სახელობის კლუბი (საზაფხულო), ძერჟინსკის სახელობის კლუბი (საზაფხულო) — მხიარული ახალგაზრდობა, ოფიცერთა სახლი — ბედნიერი წისქვილი, კოლმეურნეობა — მეგობრობის დღესასწაული მოსკოვში, დიდუბე (საზამთრო) — სიმონ თოლე, დიდუბე (საზაფხულო) — ქალაქი ანთებს სინათლეებს, ყაზბეგი — სხვისი შვილები.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პრესის მიმოხილვის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი

გ. ნიკოლაძის დაბადებიდან 70 წლისთავის გამო

გიორგი ნიკოლაძის მოღვაწეობა ნათელი მაგალითია ჩვენი დროის მეცნიერის მეტად მრავალმხრივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრებისა.

გიორგი სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა, მაგრამ თავისი ცხოვრების მანძილზე მან როგორც მეცნიერმა მათემატიკოსმა და მეტალურგმა, გეოგრაფმა და ინჟინერმა გამომგონებელმა, საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, შესანიშნავმა სპორტსმენმა და ტურისტმა, მხარეთმცოდნემ, ქართული სამეცნიერო და ტექნიკური ტერმინოლოგიის დიდმა შემოქმედმა, კადრების აღმზრდელმა და „ლიოთონის მომღერალმა პოეტმა“, — უკვდავყო თავისი სახელი. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ასეთ მრავალფეროვან დარგებში მოღვაწეობდა, ის არ იყო დილეტანტი. ყველგან, სადაც მას მუშაობა უხდებოდა, წარუშლელ კვალს ტოვებდა და თავისი უნივერსალური ნიჭით, საქმის ღრმა ცოდნით ნოყიერ ნიადაგს უმზადებდა ამ დარგების შემდგომ განვითარებას.

გიორგი ნიკოლაძე დაიბადა 1888 წლის 12 აგვისტოს სოფელ ჯიხაიშში, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის ოჯახში. მასზე გადამწყვეტი გავლენა მოუხდენია როგორც ოჯახს, ისე უკანასკნელის გარემომცველ ქართველ მოღვაწეთა წრეს.

ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი, გიორგი ფართო ინტერესს ამჟღავნებს ბუნების მოვლენებისადმი და ცდილობს მისთვის ბუნდოვანი საკითხების ექსპერიმენტებით ამოხსნას.

10 წლის გიორგი თბილისის პირველ გიმნაზიაში შეჰყავთ, სადაც უფრო ფართოდ იშლება მისი ნიჭი და უნარი.

1906 წელს გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში შედის ქიმიისა და მეტალურგიის შესწავლის მიზნით. როგორც გიმნაზიაში, ისე უფრო მეტად სტუდენტობის პერიოდში თავის ცოდნას ალრმავებს არა მარტო იმ დისციპლინებში, რომლებიც სასწავლო პროგრამით იყო გათვალისწინებული, არამედ მრავალ სხვა მეცნიერებაში და განსაკუთრებით მათემატიკაში. მაგრამ გიორგის არ აკმაყოფილებს უკვე ცნობილი და ალმოჩენილი, იგი ისწრაფვის ახლის ამოხსნისაკენ, ამუშავებს მთელ რიგ პრობლემებს, ეუფლება მეტალურგიას, ქიმიას, საფუძვლიანად სწავლობდა სხვადასხვა ფეროშენადნობების გამოდნობის ტექნოლოგიას. საქართველოში ჩამოსვლის დროს იგი სწავლობს მდინარეთა რეჟიმს ჰიდროელსადგურების აგებისა და ელექტრომეტალურგიული მრეწველობის მოწყობის მიზნით. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1913 წელს რამდენიმე თვის განმავლობაში გ. ნიკოლაძე ტულის ქარხანაში მუშაობდა, ხოლო შემდეგ, 1918 წლამდე იუზოვკის (ახლა სტალინოს) და ენაკიევოს ქარხნებში. იგი მუშებთან ერთად ასრულებს შავ სამუშაოებს, რომ კარგი ინჟინერი გახდეს, წარმოების ავკარგი შეისწავლოს. აკადემიკოსი ი. პ. ბარდინი, რომელიც გ. ნიკოლაძესთან ერთად მუშაობდა ამ ქარხნებში, თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ გიორგი უხვად ამჟღავნებდა ახალგაზრდა ინჟინრისათვის საჭირო ყველა თვისებას. ამასთანავე გ. ნიკოლაძე კვლევით მუშაობას ეწეოდა მათემატიკისა და მეტალურგიის დარგში, ამავე დროს არ ივიწყებდა სპორტს, აგრეთვე პოეზიასაც.



თავისი დიდი გამოცდილებით 1918 წელს გ. ნიკოლაძე საქართველოში დაბრუნდა, მაგრამ აქ მენშევიკური ხელისუფლების პირობებში მეტალურგიულ და ქიმიურ მრეწველობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო, ამიტომ ამ დარგების დიდი სპეციალისტი გ. ნიკოლაძე იძულებული ხდება მხოლოდ სამეცნიერო და პედაგოგიურ დარგში იმუშაოს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე კომუნისტურმა პარტიამ ხელი მოჰკიდა ქვეყნის საწარმოო ძალების, კერძოდ ჰიდროენერგეტიკისა და ფერომანგანუმის მრეწველობის შექმნას. გ. ნიკოლაძე, როგორც მეცნიერი და პრაქტიკოსი, მხურვალედ ჩაება ამ საქმეში. 1926 წელს გიორგი საზღვარგარეთ მიემგზავრება სადოქტორო დისერტაციის დასაცავად და ერთდროულად მთავრობის დავალებით იქ ქიმიურ და ელექტრომეტალურგიულ წარმოებას ეცნობა გამოცდილების საქართველოში გადმოსანერგად. იქ საბოლოო სახეს აძლევს თავის გამოგონებას — ელექტროარითმომეტრს. გიორგი აღტაცებულია საქართველოდან მიღებული ცნობით იმის შესახებ, რომ თბილისში მოხდა ინჟინერთა პირველი ჯგუფის გამოშვება, და 1928 წლის ივლისში პარიზიდან გზავნის წერილს: „გილოცავთ ქართული ტექნიკური განათლების პირველ დიდ მიღწევას: საკუთარი ძალებით მომზადებული ქართველი ინჟინერების პირველ გამოშვებას. ეს მგვრის რწმენას, რომ საბოლოო მიზანსაც მალე მოვესწრებით, რომელიც შემდეგია: ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები ჩვენივე ხელით ავამუშაოთ, ჩვენივე ხალხის საკეთილდღეოდ“.

1928 წელს სამშობლოში დაბრუნებისთანავე გ. ნიკოლაძე უშუალოდ მონაწილეობს ზესტაფონში ფეროშენადნობის ქარხნის დაპროექტებასა და მშენებლობაში. ამავე მიზნით მისი პროექტით თბილისში შენდება საცდელი ქარხანა, იგივე უშუალოდ ხელმძღვანელობს ფერომანგანუმის გამოდნობის ცდებს და მოკლე დროში ქარხნის კოლექტივიც პარტიის დავალებას წარმატებით ასრულებს — ელექტროლუმელით გამოდნობილ იქნა პირველი საბჭოური ფერომანგანუმი.

სამწუხაროდ გ. ნიკოლაძე ვერ მოესწრო ზესტაფონში ქარხნის ამუშავებას. ის დიდუბის საცდელი ქარხნის გავარვარებულ ღუმელთან გაცივდა და 1931 წლის 5 თებერვალს ფილტვების ანთებით გარდაიცვალა.

ასე, შრომის ფრონტზე დაამთავრა მან თავისი ნიჭით განათებული, ნაყოფიერი, მრავალმხრივი მოღვაწეობა.

ინჟინერი ალ. კოპლაგაშვილი.

გაიხსნა სარეტრანსლაციო სადგური ბოლნისში. **სურათზე:** ტექნიკოს ვ. პოპოვს მიჰყავს გადაცემა თბილისიდან.

ფოტო ვ. გინზბურგისა.